ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

მმართველი გუნდი ისევ რევოლუციაზე ალაპარაკდა

გვ.4

რატომ აკავშირებენ ფარცხალაძის საწინააღმდეგო სანქციებს დავით არახამიასთან?

სამშაბათი, 19 სექტემბერი, 2023 №184 (9220) ფასი: 80 თეთრი

„ივანიშვილი ძალიან ფრთხილი ადამიანია და თავს მარტივად არავის დაასანქცირებინებს“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „სტატუსი თუ ვერ მივიღეთ, ამას მღელვარება მოჰყვება“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლა და სააკაშვილის მოსვლაც კი არ იყო სახელმწიფო გადატრიალება“

„სახელმწიფო გადატრიალება გამორიცხულია!“

სუსი: „გარკვეული ჯგუფი გეგმავს სამოქალაქო არეულობას, განიხილება „ევრომაიდნის“ სცენარი“

გვ.3

გვ.2

სალომე ზურაბიშვილი: „ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა ქვეყანაში გენერალური პროკურორი „ეფესბეს“ თუ „კაგებეს“ აგენტი ყოფილა — მოვითხოვ, საზოგადოებას პასუხი გაეცეს დეტალური გამოძიებით“

შალვა პაპუაშვილი: „ეროვნებით ქართველი, თავისი სულითა და გულით არაქართველი გია ლორთქიფანიძე ცდილობს, საქართველოში სიტუაცია არიოს“

გვ.4

გვ.3

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მდგრადი განვითარების მიზნების სამიტის გახსნას დაესწრო

გვ.2

პაატა მანჯგალაძე: „ჯაშუშის გადასარჩენად მზად არიან, დადგან მრავალსერიანი „საპნის ოპერა“

ლაშა ტალახაძემ მსოფლიო მეშვიდედ დაიპყრო

გვ.7

ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლის უყურადღებობამ მამაკაცი გაამდიდრა

გვ.6

4 იაგო ხვიჩია: „ეჭვი მაქვს, ფარცხალაძემ „ქეშის“ გამოტანა მოასწრო“

5 რა უნდა ვიცოდეთ საკვებით მოწამვლის დროს

5 მამაკაცმა ერთდროულად შვიდ ქალზე იქორწინა

6 უკრაინული არმია ტოკმაკს უახლოვდება

1993230720223

„ივანიშვილი ძალიან ფრთხილი ადამიანია და თავს მარტივად არავის დაასანქცირებინებს“

თორნიკე შარაშენიძე: „სტატუსი თუ ვერ მივიღეთ, ამას მღელვარება მოჰყვება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

— ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? რას იტყვით ფარცხალაძის სკანდალზე? ისმის კითხვები, რატომ იცილებს ხელისუფლება პასუხისმგებლობას? მართალია, ახლა არ არის ფარცხალაძე ხელისუფლებაში, მაგრამ ის იყო მათი გუნდის წევრი და იყო გენერალური პროკურორი. კალაძე აცხადებს, რომ უფრო მეტი კონკრეტიკაა საჭიროო. რას იტყვით თქვენ?

— რომ იცილებს ამ პასუხისმგებლობას, ეს რა გასაკვირია. აბა, ხომ არ გადაეფარებიან? ოფიციალურად სანქცირებულია და შავ სიაშია ჩასმული და რომ გადაეფარონ, გამოდის, რომ თანამზრახველები არიან. რა თქმა უნდა, აიცილებენ, მით უმეტეს, 10 წელია აღარაა თანამდებობაზე. სუსმა თქვა, რომ გამოიძიებენ, დაველოდოთ.

— რამდენად დააზიანებს „ოცნებას“ ასეთი ბრალდებები? თქვენთვის რამდენად დამაჯერებელია ეს ყველაფერი?

— უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერავის დავურღვევ, მაგრამ ასე ტყუილად, არა მგონია, ჩაესვათ შავ სიაში. ამერიკა ასე მარტივად არავის სვამს შავ სიაში.

— ამ სკანდალის ფონზე, პრემიერ-მინისტრის ვიზიტი დაიწყო ნიუ იორკში. იგეგმება მისი სიტყვით გამოსვლაც. რა მოლოდინები გაქვთ, რა გზავნილებს ელოდებით?

— ძალიან საინტერესოა, რა შეხვედრები იქნება, ესაა ძალიან მნიშვნელოვანი. ასევე, რა თქმა უნდა, რა განცხადებები გაკეთდება. ის ნიუ იორკშია მართალია და არა ვაშინგტონში, მაგრამ შეხვედრების მოწყობა იქაც შესაძლებელია. თუკი ამის სურვილი იქნება, ეს არაა პრობლემა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება, თუ ვის შეხვდება პრემიერი.

— ბატონო თორნიკე, პრემიერის სკანდალს ჩარტერულ რეისებთან დაკავშირებით, ახლა კალაძის სკანდალიც დაემატა. კალაძე აცხადებს, რაც უნდა ქექოთ, ჩემს საწინააღმდეგოს ვერაფერს ნახავთ, რადგან ყველგან ჩემი ფული მაქვს გადახდილიო. თუმცა, ვისმენთ შეფასებებს, რომ სახელმწიფო თვითმფრინავის ქირაობა, დიდი ქაჯობააო, თქვენ რას იტყვით?

— ღარიბ ქვეყანაში არაა ამდენი ფულის ხარჯვა მაინცდამაინც ლამაზი. თუმცა, მისი პირადი სახსრები თუ არის, იურიდიულად ვერ შეედავები, თავის ფულია და დახარჯა. ორი მხარე აქვს ამ თემას, ღარიბი ქვეყანაა საქართველო და ასე არ უნდა ხარჯავდე ფულს და მეორეა, რომ კანონი არ დაურღვევია. ფული მისი იყო თუ მამამისის, ფორმალურად ვერ შეედავები. საბოლოო ჯამში, საქმე იქამდე მიდის, რომ ამოიღეს ისევ სააკაშვილის ხარჯები და მიდის შედარება, აი, ბატონო, ვინ დახარჯა სახელმწიფოს ფულიო. ნაცები ჩვენზე უარესები იყვნენო და ეს მუშაობს მაინც.

— ნაცები და ქოცები — უკვე 11 წელი გავიდა და მაინც ვერ გამოვედით ამ მოჯადოებული წრიდან. ბევრისთვის ეს ყველაფერი ძალიან არასერიოზულია.

— ბევრისთვის კი, მაგრამ საბოლოო ჯამში, ქვეყანაში ყველაფერს ხომ არჩევნები წყვეტს. ეს ბევრი რამდენად გადაწყვეტს ამ არჩევნების ბედს, ესაა მნიშვნელოვანი.

— ბატონო თორნიკე, რას იტყვით სუსის განცხადებაზე? საუბარია, რომ გარკვეული ჯგუფები, ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში, არეულობასა და დესტაბილიზაციას გეგმავენ. ნახსენებია მერაბიშვილისა და მისი მოადგილის ლორთქიფანიძის გვარი. მათი მიზანია, მაედნის მოწყობა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლაო. როგორ ფიქრობთ, არის დღეს ისეთ ფორმაში ქართული ოპოზიცია, ეს რომ შეძლოს?

— ეს გათვლილია, ალბათ, სტატუსის ვერმიღებაზე. თუ სტატუსი ვერ მივიღეთ, თავისთავად ცხადია, ამას მღელვარება მოჰყვება. ვიღაც-ვიღაცები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან ეს მღელვარება გამოიყენონ. ჯერ სტატუსის მიღება-არმიღება ეს ძალიან დიდი შეკითხვაა და მეორე ასევე დიდი შეკითხვა, თუ სტატუსი არ მივიღეთ, ღმერთმა ნუ ქნას, რამდენად ჩათვლის ხალხი, რომ ამაში მთავრობაა დამნაშავე და რამდენად გამოვა ქუჩაში.

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე მგონია, დიდი ნაწილი გამოვა მაინც.

— სტატუსის მიღება-არმიღებაზე ვსაუბრობთ და თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? დღევანდელი გადმოსახედიდან რა შანსები გვაქვს, მივიღებთ კანდიდატის სტატუსს?

— მე რაც ვიცი, საქართველო ტექნოკრატიულად, რა თქმა უნდა, არ ჩამორჩება და პირიქით, უსწრებს უკრაინასა და მოლდოვას ტექნიკური პარამეტრებით. თუმცა, მეორე მხრივ, არის პოლიტიკური მომენტი. საქართველოს რაღაც დონეზე დაძაბული აქვს ურთიერთობა ბრიუსელთან. ჩვენ ვნახეთ იგივე სიტყვიერი დაპირისპირებები, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენლებთან და ეს მომენტი, შესაძლოა, უარყოფითი იყოს ჩვენთვის. რიტორიკის დონეზე, ჩვენ ვხედავთ საკმაოდ დაძაბულ სიტუაციას ჩვენსა და ბრიუსელს შორის. აი, ეს არის მთავარი პრობლემა.

— რატომ მიდის ასეთ დაპირისპირებაზე ჩვენი ხელისუფლება?

— არ ვიცი, რა გითხრათ. საქართველოს ხელისუფლებას თავის არგუმენტები აქვს, ფიქრობენ, რომ ნამდვილად არ ჩამორჩებიან უკრაინასა და მოლდოვას და ამიტომ სტატუსს იმსახურებენ. ბრიუსელი გვეუბნება, რომ შენ მეტი მოგეთხოვება, ამათ კი ეს სწყინთ. თუ გვინდა ევროკავშირში, მაშინ მათი მოთხოვნებიც უნდა გავითვალისწინოთ. ბორელის ვიზიტის დროსაც მაინცდამაინც კარგი სიგნალები არ იყო. ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ.

— თუ ვერ მივიღებთ კანდიდატის სტატუსს, ამას მოჰყვება სერიოზული საპროტესტო ტალღა?

— პროტესტი აუცილებლად იქნება. რა თქმა უნდა, ვიღაც-ვიღაცები შეეცდებიან ამის გამოყენებას. რევოლუცია რომ ელანდებათ მთელი 12 წელია.

— ბატონო თორნიკე, რას იტყვით პრეზიდენტის იმპიჩმენტზე? ექსპერტთა ერთი ნაწილისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ თუ „ოცნება“ იმპიჩმენტს მოუწყობს პრეზიდენტს, თავადვე უბიძგებენ ზურაბიშვილს, რომ მესამე ცენტრი შექმნასო.

— ჩემი აზრით, სალომე ზურაბიშვილი სერიოზულს ვერაფერს შექმნის. ოპოზიცია მის გვერდით არ დადგება. ნაცმოძრაობა რომ დადგეს, ეს გამორიცხულია. სალომესთან მუშაობა საკმაოდ რთულია. მის გარშემო ოპოზიციის გაერთიანება, პირადად მე, წარმოუდგენლად მეჩვენება. მას უმთავრდება საპრეზიდენტო ვადა და როგორც ჩანს, სურს, დარჩეს პოლიტიკაში და ოპოზიციაში.

— ბატონო თორნიკე, როდესაც სანქციებზეა საუბარი, როგორ ფიქრობთ, გაფართოვდება დასანქცირებულთა წრე და მივა თუ არა ეს ბიძინა ივანიშვილამდე?

— არა მგონია, ასე მარტივად მივიდეს. ეს იქნება თამაშის წესების სერიოზული ცვლილება. დავუშვათ, დასავლეთმა ივანიშვილი დაასანქცირა, ამას თუ არ მოჰყვა არანაირი შედეგი, რა გამოვა? დავასანქცირეთ მმართველი პარტიის დამფუძნებელი, ქვეყანაში ძალიან გავლენიანი ადამიანი და მერე რა მივიღეთ მასთან ურთიერთობაში? ურთიერთობა სერიოზულად გაფუჭდება. ამ საკითხს სერიოზულად და დიდი სიფრთხილით მოეკიდებიან. ასე მარტივად არ იქნება. ზოგადად, ივანიშვილი ძალიან ფრთხილი ადამიანია და ასე მარტივად არავის დაასანქცირებინებს თავს.

სალომე ზურაბიშვილი: „ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა ქვეყანაში გენერალური პროკურორი „ეფესბეს“ თუ „კაგებეს“ აგენტი ყოფილა — მოვითხოვ, საზოგადოებას პასუხი გაეცეს დეტალური გამოძიებით“

საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს ყოფილი მთავარი გენერალური პროკურორის, აშშ-ის მიერ სანქცირებულ ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებით „დეტალურ გამოძიებას“ ითხოვს.

როგორც მან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საზოგადოებას დეტალური პასუხები უნდა გაეცეს.

პრეზიდენტი „ყველაზე დიდ უბედურებას“ უწოდებს იმას, რომ ქვეყნის „გენერალური პროკურორი ეფესბეს აგენტი“ ყოფილა.

— ბატონმა კახამ (კალაძე) მგონი, თქვა, რომ ყველაზე დიდი უბედურება, თურმე, ჩემი ვიზიტებია ევროპაში. არა, ბატონო კახა, ყველაზე დიდი უბედურება არის ის, როცა ქვეყანაში გენერალური პროკურორი ყოფილა „ეფესბეს“ თუ „კაგებეს“ აგენტი. ეს არის ყველაზე დიდი უბედურება და კიდევ უფრო დიდი უბედურება არის, როცა ამის შესახებ არ არის ისეთი ფორიაქი ყველა იმ უწყებაში, რომელიც ამას დღეს უნდა იძიებდეს და პასუხისმგებლობა მათზეა. მე აქ, თქვენ წინაშე მოვითხოვ, რომ საზოგადოებას პასუხი გაეცეს დეტალურად, დეტალური გამოძიებით. ეს არის არა თხოვნა, არამედ მოთხოვნა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, ფარცხალაძის მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განმარტა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში „არანაირი ინფორმაცია და არც არანაირი მოთხოვნა მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ“ არ შესულა.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, აშშ-ის მხრიდან ფარცხალაძის სანქცირებაზე შეერთებული შტატებისგან მტკიცებულებებს არ ითხოვს, რადგან ყველაფერი ნათელია, რომ გამოძიება ახლა სწორედ საქართველოშია ჩასატარებელი.

პრეზიდენტი თვლის, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა „ვინც პასუხისმგებელია“ სახე და რეპუტაცია არ დაკარგოს.

— აქ ისრების გადატანა არ გამოვა, ნათელი არის სად არის პასუხისმგებლობა. მე იმ დღესვე, ვიდრე წავიდოდი ბაზელში, შევხვდი ამერიკის საელჩოს წარმომადგენელს, რომ გამეგო მათი მხრიდან, რა მონაცემები არსებობდა. მგონი, კარგი იქნება, რომ სწორედ იმ უწყებებმა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ამ ყველაფერზე, დროულად გაგვცენ პასუხი. პასუხები, მონაცემები და მტკიცებულებები არსებობს. არავინ სთხოვს ამერიკას დღეს, რომ კიდევ უფრო მეტი მტკიცებულებები მოგვაწოდონ, მგონი, ყველაფერი ნათელია. გამოძიება აქ არის ჩასატარებელი, აქ არის ის ანგარიშები გასაჩერებელი და ყველაფერი გასაკეთებელი იმისთვის, რომ ქვეყანამ თავისი სახე და რეპუტაცია არ დაკარგოს. ქვეყანამ კი არა, ვინც პასუხისმგებელია ამაზე, — დასძინა პრეზიდენტმა.

პაატა მანჯგალაძე: „ჯაშუშის გადასარჩენად მზად არიან, დადგან მრავალსერიანი „საპნის ოპერა“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი, პაატა მანჯგალაძე აცხადებს, რომ სუსის განცხადება საქართველოში სამოქალაქო არეულობის ორგანიზებასთან დაკავშირებით „საპნის ოპერაა“ „ჯაშუშის გადასარჩენად“.

მანჯგალაძის თქმით, ამის არავის სჯერა და ყველა „ჯაშუში პასუხს აგებს“.

— ხელისუფლების მხრიდან მცდელობები, დაიცვან ჯაშუშად გამოცხადებული ფარცხალაძე, მიუთითებს დეგრადაციისა და გახრწნის იმ ხარისხზე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ხელისუფლების სტრუქტურები როგორც პოლიტიკურად, ისე მორალურად.

მიუთითებს დეგრადაციაზე, რომ დადასტურებული კორუფციის და ღალატი, არც მალავენ, უკვე ითვლება ქოცურ ღირსებად და უფრო მეტიც, ჯაშუშის გადასარჩენად მზად არიან, დადგან მრავალსერიანი „საპნის ოპერა“ სუსის მონაწილეობით, რომელიც ისედაც ყოველი წლის ოქტომბერში არეულობას აანონსებს, რაც ღიმილის მომგვრელია და არავის სჯერა.

„ქოცისთვის“ ღირსება და მაგარი კაცობაა ის, რომ ფარცხალაძემ უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე ჩვენი მტრის, ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეობის მისაღებად.

ხელისუფლებას უნდა, დაგვაჯეროს, რომ რუსეთში კრემლთან კავშირის გარეშე შესაძლებელია ფარცხალაძემ ივაჭროს უძრავი ქონებით, უცხოური ვალუტით, სამედიცინო ინვენტარით, ნავთობპროდუქტებით, აწარმოოს მშენებლობები მოსკოვთან ახლოს ისეთ უბნებში, რომლებიც ასეული მილიონი დოლარი ჯდება, გადაადგილდებოდეს ჯავშნიანი ძვირფასი მანქანებით.

უნდათ, დაგვაჯერონ, თითქოს არ არსებობს ამერიკის მიერ მასთან ერთად დასანქცირებული მაღალი რან-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სახელმწიფო გადატრიალება გამორიცხულია“

სოსო ცინცაძე: „შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლა და სააკაშვილის მოსვლაც კი არ იყო სახელმწიფო გადატრიალება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, სუსის განცხადებით, გარკვეული ჯგუფები, ასევე დასახელდნენ კონკრეტული პირები, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას განიხილავენ. ასევე განიხილება „ევრომაიდნის“ სცენარიც. რა კომენტარს გააკეთებთ?

— ეს ისეთი განცხადებაა, რომელიც უნდა იყოს უტყარი და სრული არგუმენტაციით უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგან სახელმწიფო გადატრიალებაზე არის საუბარი. საუბარი ხომ არ არის ერთმანეთის ლანძღვა-გინებაზე. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, მიჭირს კომენტარი. არ მაქვს არანაირი ინფორმაცია.

ანალიზის დონეზე შემიძლია გითხრათ, რომ ხშირად ხელისუფლება, ყველა დროში მიმართავდა ასეთ მეთოდს, როდესაც გრძნობს, ან ინფორმაცია აქვს მოსალოდნელ გამოსვლებზე, პროტესტზე, პრევენციისთვის აკეთებს მსგავს განცხადებას.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც, თუ გახსოვთ, შინაგან საქმეთა მინისტრი გამოვიდა და გვითხრა, ოპოზიცია სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადება. როდესაც ჰკითხეს არგუმენტებზე, მან თქვა, რომ ოპოზიცია საბურავებს აგროვებს. ვერ გეტყვით ახლაც მსგავსი დასაბუთებით გამოდის სუსი, თუ მართლა რაიმე ხელშესახები ინფორმაცია აქვთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს: ოქტომბრისთვის ევროკავშირის მხრიდან უკვე უნდა იყოს შუალედური დასკვნა სტატუსთან დაკავშირებით. სწორედ ოქტომბერში გახდება ცნობილი, წლის ბოლოს, დეკემბერში მოგვცემენ თუ არა კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. სუსმაც სწორედ ეს პერიოდი ოქტომბერი-დეკემბერი დაასახელა.

თუ ევროკავშირი სტატუსს არ მოგვცემს, აუცილებლად იქნება პროტესტიც, გამოსვლებიც და მიტინგებიც. ამაზე თავს ნურავინ დაიმშვიდებს. ხალხი აუცილებლად გამოვა, რადგან ამ ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის საგარეო კურსის შესახებ ცნობილია. ყველა გამოკითხვით, მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი პროდასავლურ კურსს უჭერს მხარს. ნურავის გაუკვირდება, გაბრაზებული ხალხი ქუჩაში თუ გამოვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად პროტესტისა, მე გამოვრიცხავ სახელმწიფო გადატრიალებას. ყველამ მშვენივრად იცის, რას ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალება. ჯარი, პოლიცია როდესაც ქუჩაში გამოდის და უარს ამბობს სახელმწიფოს მეთაურის კანონიერი ბრძანების შესრულებაზე. ამიტომ, გადატრიალებას გამოვრიცხავ.



„თუ ევროკავშირი სტატუსს არ მოგვცემს, აუცილებლად იქნება პროტესტიც, გამოსვლებიც და მიტინგებიც. ამაზე თავს ნურავინ დაიმშვიდებს“

შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლა და სააკაშვილის მოსვლაც კი არ იყო სახელმწიფო გადატრიალება. შეფასდა როგორც მშვიდობიანი რევოლუცია, რომელსაც „ვარდების რევოლუცია“ ეწოდა. სახელმწიფო გადატრიალება სისხლისღვრასაც არ გამორიცხავს. ამიტომ ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი რაღაცისგან. რევოლუციებს ოპოზიცია კი არა, რეალურად ხალხი ახდენს. თუ ხელისუფლებაზე გაბრაზებული ხალხი ქუჩაში გამოვარდება და გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ ეს იქნება არა გადატრიალება, არამედ რევოლუცია. თუმცა, არ მგონია, ხალხი ამისთვის მზად იყოს. ჯერ ასეთი რამ არ იგრძნობა. დეკემბრისთვის რა მოხდება, ვერაფერს გეტყვით, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

— შეიძლება სუსის მხრიდან პრევენციული განცხადება იყო?

— არაფერი არის გამორიცხული. შეიძლება, ვიღაცამ საჭიროდ ჩათვალა, რომ სწორედ ახლა გაეკვეთებინა ეს განცხადება. შეიძლება ერთგვარად თადარიგი დაიჭირა იმ შემთხვევისთვის, თუ სტატუსს არ მოგვცემენ.

— შეიძლება სტატუსი არ მოგვცენ და შეიძლება ეს ინფორმაცია აქვთ ხელისუფლებაში?

— რაც ბატონი ბორელი იმყოფებოდა საქართველოში, ასეთი შეფასება ისმის — სტატუსი უნდა დაიმსახუროთ! ვერ გეტყვით, რომ უკვე გადაწყვეტილია ყველაფერი, არ მგონია, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ გაფართოება აუცილებლად იქნება და ეს უკვე ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ევროსაბჭოში ძალიან მარტივად მიგვიღეს. ზურაბ ჟვანია გამოვიდა თავისი ცნობილი მიმართვით: „მე ვარ ქართველი — მაშასადამე ვარ ევროპელი“, დღეს აღარ არის საკმარისი. ბევრად მეტია საჭირო.

ევროკავშირი თუ სტატუსს არ მოგვცემს, მაშინ ოპოზიცია, ცხადია, შეეცდება დუღილის ტემპერატურა აწიოს. პოლიტიკური ტემპერატურა ყველა შემთხვევაში აიწევა, ოპოზიცია ამაზე იზრუნებს, თუ არ იზრუნებს. მთავარი მოქმედი გმირი მთელი ამ პროცესების მაინც იქნება არა ოპოზიცია, არამედ ხალხი. ვნახოთ, ერთი თვეა დარჩენილი და როგორი იქნება ევროკავშირის შუალედური დასკვნა. საბოლოო გადაწყვეტილება კი დეკემბერში იქნება. „ქართულ ოცნებას“ სწორედ ამ ფონზე მოუწევს წინასაარჩევნო კამპანიაში შესვლა.

სუსი: „გარკვეული ჯგუფი გეგმავს სამოქალაქო არეულობას, განიხილება „ევრომაიდნის“ სცენარი“

— საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა, — ამის შესახებ სუსის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

სუსის ცნობით, აღნიშნული გეგმის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილე და ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული წარმოშობის მქონე პირები, მათ შორის, მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი მიხეილ ბატურინი და ასევე სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი.

ამასთან, სუსის მტკიცებით, დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეულია ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა.

რაც შეეხება სცენარს, სუსის ინფორმაციით, განიხილება მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ე.წ. „კარვების ქალაქის“ მოწყობას, ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებას.

კერძოდ, სუსი აცხადებს, რომ დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება საქართველოში 2014 წელს უკრაინაში გამართული „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.

— სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა.

დესტრუქციული პროცესების დაწყების თარიღებად შერჩეულია მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდი, როდესაც უნდა გამოქვეყნდეს ევროკომისიის შუალედური და ევროკავშირის საბოლოო დასკვნა. სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად მომზადების შეთქმულთა მოლოდინი გათვლილია იმ გარემოებაზე, რომ გამოქვეყნებული დასკვნა იქნება უარყოფითი, რაც მათ განკარგულებაში არსებული საინფორმაციო ქსელებით, მთავრობისთვის ხელოვნურად დამაგრებული „პრორუსულობის“ ლოზუნგით, შექმნის ნაყოფიერ ნიადაგს საზოგადოებრივი მღელვარებისა და შემდგომი არეულობებისათვის.

აღნიშნული გეგმის ერთ-ერთ ავტორად გვევლინება საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მოადგილე და ამჟამად უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული წარმოშობის მქონე პირები, მათ შორის მესამე პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი მიხეილ ბატურინი და ასევე, სააკაშვილის ახლო გარემოცვის წევრი, უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი. ხაზგასასმელია ის, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება იგეგმება უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით.

დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციით, გიორგი ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული გეგმის შესასრულებლად გამოყენებული იქნება უკრაინაში მებრძოლი ქართული წარმოშობის საკმაოდ დიდი ჯგუფი და დაინტერესებული მხარის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, რომელთა გადამზადება-წვრთნა მიმდინარეობს პოლონეთი-უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ. რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც შეადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. სწორედ ამ ორგანიზაციებმა წარსულში მიიღეს აქტიური მონაწილეობა სერბეთში განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში და შესაბამისად, რეგულარულად გამოიყენებიან სხვადასხვა ქვეყანაში ახალგაზრდების მომზადებასა და დესტრუქციულ პროცესებში ჩართვის მიზნით.

ხსენებული პირების მიერ განიხილება მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარი, რომელიც მოიცავს ეგრეთ წოდებული „კარვების ქალაქის“ მოწყობას, საქართველოში ცენტრალურ გამზირებსა და სტრატეგიულ ობიექტებთან ბარიკადების აღმართვას, სამთავრობო შენობების დაკავება-ბარიკადირებასა და ასევე სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლებიც შეიცავენ მძიმე პროვოკაციის ელემენტებს. კერძოდ, დადასტურებულად ცნობილია, რომ ორგანიზატორების მიერ განიხილება საქართველოში 2014 წელს უკრაინაში გამართული „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარის განხორციელება.



ასევე ცნობილია, რომ გიორგი ლორთქიფანიძისა და მიხეილ ბატურინის ორგანიზებით აქციების მიმდინარეობის ადგილას, კერძოდ, ეგრეთ წოდებული „კარვების ქალაქის“ ტერიტორიაზე, წინასწარ შერჩეულ კარავში შეტანილი იქნება ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის აფეთქებაც განზრახული აქვთ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზატორებს. აღნიშნულმა, მათი დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, უნდა გამოიწვიოს საპროტესტო აქციებში მონაწილე მშვიდობიან მოსახლეობასა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა რიგებში მსხვერპლი. ტერორისტული აქტის განხორციელების შემთხვევაში, დესტრუქციული ძალები იმედოვნებენ, რომ მოხდება უმისამართო სროლა სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის, რაც ნოყიერ ნიადაგს შექმნის შემდგომი სამოქალაქო დაპირისპირებისთვის.

გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ხსენებული პროვოკაციები, ორგანიზატორების მიერ, პირველად არ დაგეგმილა საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა, წარსულში ისინი აღკვეთილ იქნა სამართალდამცავების ეფექტური და პრევენციული რეაგირების მეშვეობით. არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გამოწვევების გათვალისწინებით, განსხვავებით წინა შემთხვევებისაგან, ამჟამინდელი გეგმა წარმოადგენს გაცილებით მაღალი რისკის შემცველ ფაქტორს, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის უსაფრთხოებას, ასევე საქართველოს რიგითი მოსახლეობის სიცოცხლეს, კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას.

აღნიშნული რისკების გასანეიტრალებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სხვა კომპეტენტურ უწყებებთან კოორდინაციაში ახორციელებს და განახორციელებს ყველა საჭირო პრევენციულ ღონისძიებას. ასევე, დამატებითი ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, სამსახური ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით მიმართავს პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებს, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მდგრადი განვითარების მიზნების სამიტის გახსნას დაესწრო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად მდგრადი განვითარების მიზნების სამიტის გახსნას დაესწრო, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის ეგიდით, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე 4 წელიწადში ერთხელ იმართება. მდგრადი განვითარების მიზნების სამიტი 2030 წლის დღის წესრიგის მიღების შემდეგ მეორედ იმართება. პირველი სამიტი 2019 წელს გაიმართა.

სამიტი გახსნეს გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტმა დენის ფრანცისმა და გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტიერეშმა.

წლევანდელ სამიტს აქვს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შუალედური შეფასების დატვირთვა. სამიტის მიზანია, მრავალმხრივი და ურთიერთდაკავშირებული კრიზისის გამო მსოფლიოს წინაშე მდგარი გამოწვევების ჭრილში, მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის შუალედური შეფასება და 2030 წლის დღის წესრიგის დაჩქარებულად შესრულების ხელშეწყობა. სამიტის ბოლოს მონაწილეები პოლიტიკურ დეკლარაციას მიიღებენ.

სამიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სხვა ლიდერებთან ერთად სიტყვით გამოვა. დიალოგის თემაა „ინტეგრირებული პოლიტიკისა და საჯარო ინსტიტუტების გაძლიერება მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად“.

გაეროს გენერალურ დებატებზე პრემიერ-მინისტრი მსოფლიო ლიდერებს 22 სექტემბერს მიმართავს.

2023, 19 სექტემბერი, №184

მმართველი გუნდი ისევ რევოლუციაზე ალაპარაკდა

რატომ აკავშირებენ ფარცხალაძის საწინააღმდეგო სანქციებს დავით არახამიასთან?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ყოფილი გენპროკურორის, რუსეთში მყოფი ოთარ ფარცხალაძის წინააღმდეგ სანქციების შემოღებამ საქართველოში ისედაც დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია, კიდევ უფრო გაართულა. ოპონენტებს მიეცათ კიდევ ერთი საფუძველი, ილაპარაკონ „ოცნების“ რუსულ კავშირებზე, მმართველ გუნდს კი მიეცა საბაბი, ისაუბროს მოსალოდნელ რევოლუციაზე, რომელსაც, მისი წევრების მტკიცებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დასავლეთი საქართველოს რადიკალურ ოპოზიციასთან ერთად უწყობს.

შეგახსენებთ, რომ აშშ-მ სანქციები დაუწესა დაახლოებით 150 სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელს. სანქციების მიზანია, ხელი შეუშალოს უკრაინაში შეჭრილი პუტინის წვდომას ტექნოლოგიებსა და ფინანასურ არხებზე. ფარცხალაძე სახედეპის დოკუმენტში მოხსენიებულია ქართველრუს ოლიგარქად და ნათქვამია, რომ ის მონაწილეობდა რუსეთის გავლენის მოხდენაში საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკაზე. საუბარია ფარცხალაძის კავშირზე ფს-სთან.

ოთარ ფარცხალაძემ გამოაცხადა, რომ სანქციები მის წინააღმდეგ კონკრეტული ადამიანების ინსპირირებულია და ცილისმწამებლურ კამპანიაზეა დაფუძნებული. ის აპირებს გამოიყენოს ყველა სამართლებრივი ბერკეტი, რათა ეს დაამტკიცოს.

ამ საქმეს სუსი შეისწავლის. მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ბრალდებებისათვის საჭიროა მეტი კონკრეტიკა და მტკიცებულებები. „ოცნების“ წევრების მტკიცებით, ფარცხალაძესთან არანაირი კონტაქტები არ აქვთ.

„ფარცხალაძე არ არის ბოლო ადამიანი, რომელიც დასანქცირდება უმაღლესი ეშელონებიდან“

ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ხატია დეკანოიძე, რომელიც ამჟამად პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის „ევროოპტიმისტების“ წევრია, საზოგადოებას სხვა პირების დასანქცირებასაც აუწყებს:

– ფარცხალაძე არ არის ბოლო ადამიანი, რომელიც დასანქცირდება უმაღლესი ეშელონებიდან. ძალიან მალე ბიძინა ივანიშვილის ძალიან ახლო პირები ასევე მოყვებიან საერთაშორისო სანქციებში.

„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი საზოგადოებას, აუდიტორიას არწმუნებს, რომ ოთარ ფარცახალაძის საწინააღმდეგო სანქციები „საერთაშორისო სინდიკატის“ მუშაობის პროდუქტია. ის ასახელებს ადამიანების გვარებს, რომლებიც, მისი აზრით, ამ დაჯგუფებას მიეკუთვნებიან, ანუ „საქართველოს მიმართ მავნებლური სქემის ძირითადი მოთამაშეები არიან“.

ქართველიშვილის ინფორმაციით, ამ სქემას წარმოადგენენ დავით არახამია, ნიკა გვარამია და მისი გუნდი, ასევე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

– ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ დავით არახამია ტრაბახობდა, რომ სანქციების ქვეშ საქართველოს მოქალაქეების აყვანის „საპატიო“ პრეროგატივა სწორედ მას ერგო და ამ საკითხებში ის პირდაპირ არის დაკავშირებული „სანქცია-მეიკერებთან“ – მაიკლ მაკფოლსა და ფრენსის ფუკუიამასთან. ქართულ მხარეს ტექნიკური სამუშაოს შესრულების სახით სათავეში უდგას ნიკა გვარამია და მისი „სტაფი“, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი ნინო ევგენიძე, – აღნიშნავს ქართველიშვილი.

მისი თქმით, აღნიშნული პირები მოუწოდებდნენ დასავლეთის წარმომადგენლებს, შემოეღოთ სანქციები ცალკეული ქართველი პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების წინააღმდეგ. ასეთი შეხვედრები რამდენიმე თვის წინაც გაიმართა:

– სწორედ ნინო ევგენიძის შეხვედრებზე ლიეტუვაში ნენსი პელოსისთან, „აირაის“ პრეზიდენტთან, ფრიდომ ჰაუსის წარმომადგენელთან მოხდა მათი საბოლოო დარწმუნება, მიეტანათ უპრეცედენტო იერიში საქართველოს სასამართლოზე, ბიზნესისა და პოლიტიკის წარმომადგენლებზე. 2022 წელს დავით არახამიამ უზრუნველყო მაიკლ მაკფოლისა და დავით კეზერაშვილის გარემოცვის შეხვედრა.

დავით ქართველიშვილი „ოცნებისთვის“ ტრადიციულ რევოლუციურ თემასაც ეხება:

– საერთაშორისო კოორდინირებული სინდიკატის მთავარი მიზანია, საქართველოში, გადატრიალების გზით, ხელისუფლების შეცვლა.

„ოცნება“ „მოიერიშე ახალგაზრდებზე“ ალაპარაკდა

მმართველი გუნდი და მისი გარემოცვა საერთაშორისო სინდიკატის, ანუ იგივე გლობალური ომის პარტიის ნაწილად მიიჩნევს აქტიურ ახალგაზრობასაც. „ოცნება“ ხშირად იმეორებს, რომ ახალგაზრდების ნაწილს საქართველოში რევოლუციისთვის წვრთნიან.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი ამ საკითხს კიდევ ერთხელ „სასანქციო სკანდალის“ ფონზეც შეეხო. მისი შეფასებით, ახალგაზრდებს ცუდი მიზნებისთვის „გირჩის“ ლიბერალური სკოლაც ამზადებს:

– ამას ნიღბავენ ლიბერალურ სკოლად. სინამდვილეში, ვნახეთ კადრები, როგორ მიდიოდა ტრენინგები იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ქადაგიშვილის შეფასებით, ქვეყანაში ახალგაზრდების მოიერიშე ჯგუფები ყალიბდება, საქართველოში კი სახელმწიფო შენობებზე იერიშების მიმართ მეტისმეტად რბილი მიდგომაა:

– ხდება ახალგზარდების მოზიდვა, რომ გარკვეული მოიერიშე ჯგუფები შეადგინონ ე.წ. რევოლუციური სცენარების განსახორციელებლად, რათა ესენი დაიყენონ წინ, გაუშვან პოლიციისა და პარლამენტის დასარბევად და თვითონ ბავშვებს ამოეფარონ. ჩვენ უკვე ვნახეთ ახალგაზრდული პროტესტი და ნიღბის ქვეშ „ბოევიკები“, როგორ ახორციელებდნენ შეტევას საქართველოს პარლამენტზე. ეს დაუშვებელია დემოკრატიულ ქვეყანაში. თუ გადახედავთ პრაქტიკას აშშ-ში, ნახავთ, რომ ჩვენ ჰუმანური მიდგომები გვაქვს.

შალვა პაპუაშვილი: „ეროვნებით ქართველი, თავისი სულითა და გულით არაქართველი გია ლორთქიფანიძე ცდილობს, საქართველოში სიტუაცია არიოს“

– ეროვნებით ქართველი, თავისი სულითა და გულით არაქართველი გია ლორთქიფანიძე ცდილობს, საქართველოში სიტუაცია არიოს – ის უკვე მეორეჯერ იქნა მხილებული საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებების ორგანიზებაში, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, სამარცხვინოა, რომ ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციას ეჭვქვეშ აყენებს და თანამშრომლობს და ენდობა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელს – გია ლორთქიფანიძეს.

– ეს არის გამოძიების შედეგები, რომელიც ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებებს. ამ ყველაფერს ნაწილობრივ საზოგადოებაც ამჩნევდა, ხედავდა, თუ რისკენ მიჰყავს ხოლმე რადიკალურ ოპოზიციას საზოგადოება და ეს არ არის პირველი მცდელობა მათი, რომ დესტრუქციითა და არჩევნების გვერდის ავლით მოვიდნენ ხელისუფლებაში. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს სერიოზული საკითხია.

მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საზოგადოება ამის შესახებ გააფრთხილა, წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია, მეორე მხრივ, ჩვენ უკვე ვნახეთ გამოძიების მასალები კიდევ ერთხელ გია ლორთქიფანიძეზე, რომელიც უკვე მეორეჯერ იქნა მხილებული საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებების ორგანიზებაში. ეს ადამიანი – ეროვნებით ქართველი, თავისი სულითა და გულით არაქართველი, საქართველოში ცდილობს არიოს სიტუაცია. დადასტურებულად ვიცით, მათ შორის, გახსოვთ მაშინ სატელეფონო საუბრებიც კი გასაჯაროვდა, რომ გია ლორთქიფანიძე იყო მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოპარების ორგანიზატორი, რომლის ერთადერთი მიზანი იყო საქართველოში არევა და მათ შორის, სიტუაციის სისხლისღვრამდე მიყვანა.

სამარცხვინოა ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადება, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციას და თანამშრომლობენ და ენდობიან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში, გია ლორთქიფანიძეს. ჩამოყალიბდეს ეს ხალხი – ისინი საქართველოს მოქალაქეები და პატრიოტები არიან, თუ უკრაინის დაზვერვასთან თანამშრომლობაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ია გო ხვიჩია: „ეჭვი მაქვს, ფარცხალაძემ „ქეშის“ გამოტანა მოასწრო“

– გამიკვირდა, ეროვნულმა ბანკმა რომ შეუზღუდა ანგარიშებზე წვდომა. ეჭვი მაქვს, „ქეშის“ გამოტანა მოასწრო და მერე შეუზღუდეს, – ასე შეაფასა „გირჩის“ ხელმძღვანელმა, ია გო ხვიჩიამ ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფარცხალაძისთვის საბანკო აქტივებსა და ფინანსური ტრანზაქციების შესრულების შეზღუდვა.

– ნელ-ნელა იშიფრება „ქართული ოცნება“. მეთერთმეტე წელი მოვიდა და უკეთესად იცნობს მთელი სამყარო, ადგილობრივი საზოგადოებაც. ისიც გამიკვირდა, ოთარ ფარცხალაძეს ეროვნულმა ბანკმა რომ შეუზღუდა ანგარიშებზე წვდომა. ეჭვი მაქვს, „ქეშის“ გამოტანა მოასწრო და მერე შეუზღუდეს.

მგონია, რომ ეს გაკვეთილია ქართველი ხალხისთვის, თუ როგორ იყენებს „ქართული ოცნება“ ხალხის ნდობას. ეს ხალხი რომ დამწკრივდა არჩევნებზე, ხმებს რომ აძლევდნენ „ქართულ ოცნებას“, 50-100 ლარზე, ხახვებზე და კარტოფილებზე რომ იყიდებოდნენ, ეგ არის ფაქტი. როცა 20-50 ლარად მოგისყიდიან, მერე გაგიბედავენ იმას, რომ ფარცხალაძე იყოს შენი გენერალური პროკურორი და დასანქცირებულ კაცზე გვეუბნებოდნენ, გვჯერა, კარგ საქმეს გააკეთებდა, ცუდად დაინახესო. ჩემი აზრით, ღირსია ის ხალხი, ვინც რომელიმე პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობას აძლევს. ეს სიმპტომი სხვადასხვა დროს ყველა ჩვენს მმართველს დაემართა.

ახლაც არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. სისტემა ბოლომდე ირყვნება, აქამდე მალავდნენ. მაგალითად, „ქართული ოცნების“ წევრებს სიმდიდრის გამოჩენა ცოტათი ეკრძალებათ, მაგრამ დავინახეთ, რომ თვითმფრინავი ტაქსებად ჰყავთ მოწყობილი და დაფრინავენ, – განაცხადა ხვიჩიამ.

ხვიჩიას თქმით, ოპოზიცია „ოროსნების როლს“ თამაშობს.

– ჩემი აზრით, ნაცები „ქოცების“ დანამატია და „ქოცურ“ თამაშს თამაშობენ. ჩემი აზრით, მათი მენეჯმენტი, მიხეილ სააკაშვილს არ ვგულისხმობ, იჯდება „ქოცებთან“ იმიტომ, რომ შეუძლებელია ამდენი ხნის განმავლობაში ვერ გაარღვიო უგონობა. შე ოროსან კლასელებთან და კურსელებთანაც მქონია ურთიერთობა, რომელიც რაღაც პროგრამას ვერ სწავლობდა და ეხმარებოდი რაღაცნაირად, მაგრამ იმას გააგებინებდი რაღაც მუშაობის მერე. ამდენი არცერთ ჩემს კლასელთან ან კურსელთან არ დამჭირვებია, რაც ოპოზიციასთან მაქვს ნამუშევარი. ამიტომ, არ მჯერა, რომ ისინი უბრალოდ „ოროსნები“ არიან. ჩემი აზრით, ისინი „ოროსნების“ როლს თამაშობენ, – განაცხადა ხვიჩიამ.

4 მილიონი უკრაინელი უცხოეთში გადაიხვეწა

სამშობლო დატოვა და 4 მილიონი უკრაინელი უცხოეთში გადაიხვეწა. რუსული წყაროების მიერ გავრცელებული ცნობა, თითქოს ემიგრაციაში 12 მილიონი უკრაინელია, სრულ სიცრუეს წარმოადგენს.

გასულ ღამეს რუსმა ოკუპანტებმა უკრაინას შეუტიეს დრონებითა და რაკეტებით. სულ უკრაინის მიმართულებით გაშვებულ იქნა 24 დრონი და რაკეტა. აქედან უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო ძალებმა 18 ჩამოაგდეს. დაბომბვების შედეგად დანგრეულია საცხოვრებელი სახლები. დაღუპულთა შესახებ ინფორაცია არ არის. რუსული დაბომბვების პასუხად, უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დროებით ოკუპირებულ ტოკმაკსა და ლუგანსკზე, სადაც განადგურებულია რუსული არმიის მთელი ყაზარმა და მფრინავების მოსამზადებელი სკოლა. დაიბომბა აგრეთვე დროებით ოკუპირებული ყირიმი, კერძოდ ქალაქები სევასტოპოლი, ფეოდოსია, ჯანკოი და ა.შ. ბატონი პრეზიდენტის აზრით, უკრანელთა კონტრშეტევა მართლაც წარმატებით ვითარდება, მაგრამ ეს თურმე ძალიან საშიშია.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი. ის თვლის, რომ მუქარები ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ ბლეფია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პაატა მანჯგალაძე: „ჯაშუშის გადასარჩენად მზად არიან, დადგან მრავალსერიანი „საპნის ოპერა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გის ფსბ-ს ოფიცერი ონიშენკო, რომელიც საქართველოსა და ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებს კურირებს;

უნდათ დაგვაჯერონ, შემთხვევითია, რომ ფარცხალაძის შვილი აფუძნებს პრორუსულ ორგანიზაციას, რომლის მიზანი რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაა;

თითქოს შემთხვევითია ფარცხალაძესთან დაკავშირებული პირების მიერ რუსულ-ქართული ეკონომიკური და მეგობრობის ფორუმების ორგანიზება.

და უფრო მეტიც, უნდათ დაგვაჯერონ, რომ უკრაინაში რუსების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე გია ლორთქიფანიძესა და ქართული ლეგიონის ხელმძღვანელ მამუკა მამულაშვილს უნდათ სქართველოში არეულობა და ფარცხალაძე, რუსები და „ეფესბეს“ ქოცი აგენტები იბრძვიან საქართველოში მშვიდობისთვის.

ამ სიგიჟეს არავინ დაიჯერებს, ქვეყანაში ასე არ ბნელა. ყველა ჯაშუში პასუხს აგებს. საქართველო გაიმარჯვებს! – აცხადებს მანჯგალაძე.

როდის არის საშიში ქოშინი

ჰაერი ცხვირის ღრუში იფილტრება და შეთბება, შემდეგ ხახის, ხორხის, ტრაქეების გავლით, დატოტიანებული ბრონქებიდან ფილტვებში გადადის. ფილტვებში ჰაერი შედის ალვეოლებში (მიკროსკოპულ ბუშტუკებში), რომლებსაც ძალიან თხელი კედელი აქვთ. ალვეოლებს გარს უვლის სისხლძარღვოვანი ქსელი, სადაც ხდება გაზთა ცვლა. ჟანგბადი შეიწოვება სისხლში, ხოლო სისხლიდან ალვეოლური გზით ნახშიროჟანგი გამოიდევნება და უკან ამოისუნთქება. ამ აქტის შესასრულებლად გულმკერდი იშლება (ჩასუნთქვისას) და იკუმშება (ამოსუნთქვისას). ეს პროცესი ნეკთაშუა და გულმკერდის კუნთებით ხორციელდება. სუნთქვაში მონაწილეობს ტიხარი გულმკერდის და მუცლის ღრუებს შორის. სუნთქვის დროს, რომ ფილტვმა თავისუფლად იმოძრაოს, მას გარშემო შემოკრული აქვს თხელი, კრიალა გარსი – პლევრა, რომელიც სითხის მცირე რაოდენობით არის დასველებული. ფილტვი თავისუფლად სრიალებს პლევრის ღრუში.

სუნთქვა ხშირდება, მაშინ, თუ კუნთებში ჟანგბადზე მოთხოვნილება იმატებს, ამ დროს ფილტვის გაძლიერებული ვენტილაცია მიმდინარეობს. ადამიანი იწყებს ქოშინს. თუ ჯანმრთელია ადამიანი, ქოშინი 2-3 წუთში გაივლის. მოსვენებულ მდგომარეობაში ადამიანი წუთში 16-20-ჯერ სუნთქავს. ფიზიკური დატვირთვის დროს სუნთქვა ღრმა და გახშირებულია. ქოშინს იწყებს ადამიანი თუ ჟანგბადის უკმარისობას განიცდის, რაც შეიძლება სიმაღლეზე ასვლით ან ფიზიკური დატვირთვით იყოს გამოწვეული. ქოშინი ზოგჯერ სიცხეშიც ვითარდება. ეს გახლავთ ჩვეულებრივი, ბუნებრივი ქოშინი.

პათოლოგიური ქოშინი შეიძლება გამოწვეული იყოს ფილტვისა და სასუნთქი გზების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ქოშინს იწვევს ფსიქო-ემოციური მოშლილობა და ზოგჯერ ანემიაც, რომლის დროსაც ორგანიზმი ჟანგბადის შიმშილს განიცდის. ქოშინი თუ შემოგეჩვიათ, მიმართეთ ექიმს, რომ მოსალოდნელი გართულება თავიდან აიცილოთ.

ხველა არ ნიშნავს, რომ ადამიანი აუცილებლად ავად არის, მაგრამ მისი მომატება ყველა შემთხვევაში სასუნთქი გზების დაავადებაზე მიუთითებს. ხველა არის ფილტვის, სასუნთქი გზების, პლევრის მწვავე და ქრონიკული ანთების სიმპტომი. გრიპს, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ბრონქიტი, ფილტვების ანთება, ფილტვების დამტვერიანება, ბრონოექსტაზიური დაავადება, ტუბერკულოზი ხველის გარეშე არ მიმდინარეობს. ხველის დროს თუ ნახველი არ გამოიყოფა, მას მშრალს ეძახიან. ხანგრძლივი ხველის გამო ზოგჯერ ავადმყოფს გულმკერდისა და მუცლის ზედა კუნთები ეჭიმება და სტკივა. საგანგაშოა სისხლიანი ხველა, რადგან საქმე გვაქვს სერიოზულ დაავადებებთან, როგორიცაა ტუბერკულოზი, ფილტვის ინფარქტი, ბრონქოექსტაზიული დაავადების გამწვავება, ზოგჯერ კი ფილტვის ინფარქტი.

ბრონქიტი სასუნთქი გზების ანთებაა. არჩევენ მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს. მწვავე ფორმა ვითარდება გრიპის, ყივანახველის, დიფტერიის, ადენოვირუსული ინფექციის ფონზე. ბრონქიტი შეიძლება ალერგიულიც იყოს. ამ დროს ადამიანი შეისუნთქავს სხვადასხვა ნივთიერებებს, ყვავილის მტვერს, რასაც ალერგიული ხველა მოსდევს. ბრონქიტს ხელს უწყობს გაცივება, ცივი და ნესტიანი ჰაერის შესუნთქვა, იმუნური სისტემის დაქვეითება. ბრონქიტით ხშირად მთვრალი ადამიანი ავადდება. დაავადების დასაწყისში მშრალი ხველა მიმდინარეობს, რაც შემდეგ გაძლიერდება, რამდენიმე დღის შემდეგ ნახველი ლორწოვანია. ავადმყოფს აქვს ფხაჭნის შეგრძნება, ტკივილი მკერდის ძვლის უკან, გულმკერდში შებოჭვის შეგრძნება აწუხებს. ამ დროს ხშირად სხეულის ტემპერატურა იმატებს. ბრონქიტის გამწვავება დამოკიდებულია მისი გამომწვევი დაავადების სირთულეზე. ჩვეულებრივ ფონზე ბრონქიტი ერთი კვირის განმავლობაში წყნარდება. ალერგიული წარმოშობის ბრონქიტი კი შეიძლება რამდენიმე კვირით გახანგრძლივდეს. მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, რომ ხველა პრობლემას არ შექმნის და თავისით გაივლის, ამიტომ ბრონქიტი ხშირად ფილტვის სხვადასხვა პათოლოგიების მიზეზი გახდეს.

ბრონქიტის დროს ავადმყოფი უნდა ერიდოს ცივ ჰაერს, ბევრ ლაპარაკს, ყოველგვარ სუნს. ოდნავმა მტვრიანმა გარემომაც შეიძლება მდგომარეობა დაამძიმოს. საჭმელი ავადმყოფს თბილი უნდა მიეცეს. ავადმყოფი ზედმეტად თბილ გარემოში არ უნდა იმყოფებოდეს, რადგან მოსალოდნელია გაოფლიანება და ხელმეორედ გაცივება.

ბრონქიტი რომ ქრონიკულში არ გადავიდეს, საჭიროა ექიმის დანიშნულების მიხედვით მკურნალობა.

თუ ადამიანს რამდენჯერმე დაემართა ბრონქიტი და სათანადოდ არ იყო ნამკურნალევი, შეიძლება ქრონიკულ ფორმაში გადავიდეს. ქრონიკული ბრონქიტის ჩამოყალიბებას მტვრიანი გარემო უწყობს ხელს, ამიტომ ეს დაავადება დიდ ქალაქებში უფრო ხშირია. გახანგრძლივებული ხველა უყურადღებობას ვერ იტანს. უმნიშვნელო ბრონქიტიც კი შეიძლება მძიმე ფორმაში გადავიდეს. მკურნალობის დროს არ დაგავიწყდეთ ანტიალერგიული საშუალებების გამოყენება. თუ ერთხელ მაინც დაგემართათ ბრონქიტი, მკურნალობა აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ.

* * *

ბრონქიტის დროს შვებას მოგგვრით კომშის გულისა და ქერქის ნახარშის მიღება. რძე მინერალურ წყალთან ერთად, ცაცხვის ყვავილის ნაყენი. ხველებას შეიძლება ხახვით შეებრძოლოთ. დაჭერით ხახვი, მოაყარეთ შაქარი, 1 საათის შემდეგ მიიღეთ ხახვის წვენი. თუ ხახვს ვერ იტანთ, იგივე მეთოდით მოამზადეთ ბოლოკის „წვენი" და დღეში რამდენჯერმე მიიღეთ. ბრონქიტს უჩვეულო ერბოკვერცხიც შველის. თხილისოდენა უმარილო კარაქი და თაფლის სანთელი გაადნეთ ტაფაზე, დაასხით კარგად გათქვეფილი კვერცხი, ოდნავ შემწვარი (რა თქმა უნდა, უმარილო) – კვერცხი მიიღეთ თვით და რამდენიმე საათი თბილად იწექით, უმჯობესია არ ილაპარაკოთ.

საკმაოდ ეფექტური მეთოდია: ერთი ლიმონი ხარშეთ 10 წუთი, დარბილდება და მეტ წვენს გაუშვებს. წვენი ჩაასხით ჭიქაში, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი გლიცერინი. კარგად აურიეთ და შემდეგ ჭიქა პირამდე შეავსეთ თაფლით. თუ ძალიან გახველებთ, მაშინ დღეში სამჯერ მიიღეთ თითო ჩაის კოვზი. უმჯობესია, დილით უზმოზე, ადგომისთანავე მიიღოთ. საკმაოდ შედეგიანია ბავშვებისთვისაც. არ იწვევს კუჭ-ნაწლავის გაღიზიანებას.

ქრონიკული ბრონქიტის დროს კარგია ალოეს წვენის (15 გრ), ღორის ქონის (100 გრ), უმარილო კარაქის (100 გრ), კაკაოს (50 გრ) ნარევი. ერთ ჭიქა ცხელ რძეში გახსენით ერთი სუფრის კოვზი ნარევი. მიიღეთ დილით და საღამოს.

400 გრამ ქატოს დაასხით 1 ლიტრი წყალი, ადუღეთ 20 წუთი, შემდეგ მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში, შეგიძლათ დაატკბოთ.

გართულებულ ბრონქიტს შველის: ლიმონი კანიანად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, გამოაცალეთ კურკები, შეურიეთ 4 თავი დაჭყლეტილი ნიორი, დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული და გაციებული წყალი. მჭიდროდ თავდახურული ჭურჭლით 5 დღის განმავლობაში ცივ და ბნელ ადგილას შეინახეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

100 გრამ გახეხილ პირშუშხას დაუმატეთ 3 ლიმონის წვენი. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი უზმოზე, რამდენიმე საათის განმავლობაში არაფერი ჭამოთ. შეგიძლიათ რამდენიმე ჩაის კოვზი მიიღოთ დილიდან შუადღემდე, ამ შემთხვევაშიც არაფერი უნდა ჭამოთ.

კაკლის ნაჭუჭს (10 ცალი) დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. ნაყენი გაფილტრეთ, შეაგრილეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

ბავშვებში თუ ბრონქიტის საწყისი სტადიაა, შეგიძლიათ თითო ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი მისცეთ.

რა უნდა ვიცოდეთ საკვებით მოწამვლის დროს

კვებითი ტოქსიკოინფექციები ანუ სალმონელოზი კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებაა. მიმდინარეობს გასტროენტერიტიტის სინდრომით. ზოგადად მოწამვლას ძირითადად ინფიცირებული ხორცეული საკვების მიღება იწვევს.

სალმონელოზის გამომწვევი ბაქტერიები გავრცელებულია ცხოველებში. მათ ურთიერთ ანტიგენური ნათესაობა აქვთ, გრამუარყოფითები არიან, მოძრაობის უნარი აქვთ, კარგად იზრდებიან ჩვეულებრივ საკვებზე.

სალმონელების ტიპი მისი ზრდის, ბიოქიმიური ნიშნების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება.

ინფიცირებული საკვები, ძირითადად ხორცეული, მოხვდება კუჭში, სადაც იწყება კუჭის წვენის ზემოქმედებით მათი მასობრივი განადგურება, ვითარდება მოშხამვის სურათი. დამტკიცებულია, რომ სალმონელების გარკვეული ნაწილი იხოცება და ორგანიზმი თავისუფლდება. სალმონელების დაშლის შედეგად გამოთავისუფლებული ენდოტოქსინის ნაწილი შეიწოვება კუჭის ლორწოვანაში, დანარჩენი კი წვრილი ნაწლავების საშუალებით შეიწოვება, რის შედეგად ვიღებთ კვებით ინტოქსიკაციას.

სალმონელები პათოგენური ბაქტერიებია, ისინი შეიძლება ორგანიზმში იყვნენ, შესაბამისი გარემოში მოხვედრის შემდეგ „ამოქმედდნენ" და გამოიწვიონ დაავადება.

კვებითი ტოქსიკოინფექციების ინკუბაციური პერიოდი 6-12 საათს უდრის, შეიძლება ის 3-4 საათი გაგრძელდეს. არის შემთხვევები,

როცა 1-3 დღე გრძელდება. კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით სალმონელოზის რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. ყველაზე გახშირებულია ლოკალიზებული ფორმის ტოქსიკოინფექციები. ამ ფორმით 70-75% ავადდება. დაავადება მძაფრად, მაღალი სიცხით იწყება, ახასიათებს გულისრევა, შებერვა, ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში, შემცივნება, ძლიერი ფაღარათი, მადა ეკარგება, ენა შელესილია. ავადმყოფი ფერმკრთალია, შეიძლება სახეზე წამოწითლდეს, გონებას არ კარგავს. დაავადება 1-3 დღემდე გაივლის. ამ დროს არტერიული წნევა დაწეულია.

იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, ბაქტერიებით გამოწვეული ტოქსიკოინფექციები, რომელიც ხშირად მწვავე გასტროენტეროკოლიტში გადადის.

2. გენერალიზებული ფორმა – ძალიან წააგავს მუცლის ტიფს. დაავადებას გასტროენტერიტი ახასიათებს. სიცხე მაღალია, ენა შელესილი, 2-3 დღის შემდეგ იწყება ფაღარათი და იმატებს მუცლის შებერვა, დიდდება ელენთა და ღვიძლი, ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, პულსი შენელებულია. დაავადებას თითქოს თან ერთვის ბრონქიტი და ბრონქოპნევმონია. მწვავე მდგომარეობა შეიძლება 6-12 დღე გაგრძელდეს. ავადმყოფური პროცესი შეიძლება 3-6 კვირამდე გახანგრძლივდეს. ამ დროს იწყება ოფლიანობა, ნერვული სისტემის მოშლილობა, ადინამიით, ბოდვით. არ არის გამორიცხული მენინგოენცეფალიტის ნიშნებიც გამოვლინდეს.

3. სალმონელოზის ბაქტერიომატარებლობა შედარებით მსუბუქი ფორმაა და იგი მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევების შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს.

4. ნოზოპარაზიტული ფორმა სუპერინფექციაა, რომელიც სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს თან ერთვის. ბუნებრივია, მძიმდება ავადმყოფის მდგომარეობაც. სუპერინფექციის დროული გამოვლინება ავადმყოფს ძლიერი გართულებებისგან იცავს.

კვებითი ტოქსიკოინფექციების გამოცნობა ძნელი არ არის. მათთვის დამახასიათებელია მწვავე სიმპტომატიკა. ზოგჯერ არის (ერთი და იგივე საკვებით) ჯგუფური მოწამვლები. შესწავლილი უნდა იქნას საკვები ულუფა, რითაც მოხდა ინფიცირება. კვებითი ტოქსიკოინფექციების დროს არ მიმართავენ ექიმს და ავადმყოფი მკურნალობის გარეშე რჩება. მძიმე ფორმა სასწრაფოდ მოითხოვს გადაუდებელ ჩარევას.

დაავადების გამოვლენიდან 6-8 საათის განმავლობაში უნდა მოხდეს კუჭის ამორეცხვა. საჭმელი სოდის ხსნარი, მინერალური ან თუნდაც სასმელი, ოდნავ შემთბარი წყალი ერთ-ერთი საშუალებაა კუჭის შიგთავსისგან გასათავისუფლებლად. ამორეცხვის პროცედურა, ბუნებრივია, უსიამოვნოა, მაგრამ 2-3-ჯერ მაინც უნდა გავიმეოროთ, კუჭის საბოლოო გათავისუფლებამდე. ექიმის ჩარევა აუცილებელია. თუ ვერ ახერხებთ ექიმთან მისვლას, გამწვავების თავიდან ასაცილებლად მიიღეთ შემდეგი სახის ხსნარი: 1 ლიტრ ადუღებულ და გაციებულ წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი მარილი, 1 სუფრის კოვზი შაქარი და 2 სუფრის კოვზი სოდა, სრული გახსნის შემდეგ დაამატეთ ლიმონმჟავა, უმნიშვნელო რაოდენობით. შეგიძლიათ აღნიშნული ხსნარი რამდენიმე ლიტრიც მიიღოთ, არ გავნებთ, ორგანიზმის გაწმენდაში მოგეხმარებათ.

თუ გახანგრძლივებული ფაღარათი გჭირთ, მიიღეთ თანაბარი რაოდენობით შაქრისა და მაწვნის ნარევი (1:1), რამდენიმე კოვზის მიღებაც შედეგს მოგცემთ.

კვებითი ტოქსიკოინფექციების შემთხვევისას უმჯობესია რამდენიმე დღე დაიცვათ მკაცრი დიეტა. მიიღეთ მხოლოდ მოხარშული კარტოფილი, მარილიანი უცხიმო ყველი, მაწონი, ტკბილი ჩაი, მინერალური წყალი დიდი რაოდენობით. მოერიდეთ ცხიმიან საკვებს, ხილს, რომ გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის ტრაქტი უფრო არ დაამძიმოთ, რაც სხვა დაავადებებს „ჩაუყრის საფუძველს".

ჭალეიდოსკოპი

ემილი რატაკოვსკი წვეულებაზე გამჭვირვალე კაბით მივიდა

ამერიკელი მოდელი და მსახიობი ემილი რატაკოვსკი Vogue World-ის წვეულებაზე გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი მივიდა.

32 წლის მოდელი ლონდონში George-ს კლუბში შავი ფერის დეკორატიულ ნახვრეტებიან ბადისებურ მინიკაბასა და სტრინგებში გამოწყობილი მივიდა. პაპარაცის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ სამოსი მოდელის სხეულს აშიშვლებს და ამავე დროს რატაკოვსკიმ უარი თქვა ბიუსჰალტერის ჩაცმაზე. ფეხებზე კი მოდელს ცხვირწვეტიანი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა ნაქსოვ წინდებთან ერთად. ასევე მას ამშვენებდა გრძელი შარფი და მხარზე გადაკიდებული ხელჩანთა.

აღსანიშნავია, რომ ემილი რატაკოვსკის გარდა, წვეულებაზე იმყოფებოდნენ მოდელები: კარა დელევინი, ვინი ჰარლოუ, პალომა ელსესერი და ადვოა აბოა.

მამაკაცმა ერთდროულად შვიდ ქალზე იქორწინა

43 წლის უგანდელმა ბიზნესმენმა ერთდროულად შვიდ ქალზე იქორწინა და ადგილობრივების ყურადღების ცენტრში მოექცა. მუკონოს ოლქის ნიკიფუმას რაიონში მცხოვრებმა ჰაბიბ ნსიკონენემ 10 სექტემბერს იქორწინა. საქორწინო ცერემონიამდე სასიძემ საპატარძლოები სილამაზის სალონებში გაგზავნა. შემდეგ კი ის საცოლეებთან და სტუმრებთან ერთად საქორწინო ცერემონიის ადგილზე 40 მანქანითა და 30 მოტოციკლით მივიდა. მას შემდეგ, რაც ორმა აიშამ, რაშიდამ, ფატუმამ, შანიფამ, მარიამ, საინამ და ჰაბიბმა საქორწინო ფიცი გაცვალეს, საზეიმო მსვლელობა გამართეს ველოსიპედისტების თანხლებით.

მამაკაცი ტრადიციულ მრავალცოლიან ოჯახში დაიბადა. მისი თქმით, მის პაპას ექვსი ცოლი ჰყავდა და ყველანი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. მამამისს კი ოთხი ცოლი ჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ჰაბიბმა მრავალცოლიანობის წესი დაარღვია, ვინაიდან მუსლიმ მამაკაცს ერთდროულად ოთხ ცოლზე მეტზე დაქორწინება ეკრძალება. მიუხედავად ამისა, უგანდელი ამაზე გაჩერებას არ აპირებს და ახალი საპატარძლოების ძებნას გააგრძელებს.

ბელა ჰადიდი საზოგადოებაში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოჩნდა

პალესტინურ-ნიდერლანდური წარმომავლობის ამერიკელი სუპერმოდელი ბელა ჰადიდი საზოგადოებაში მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემდეგ შენიშნეს.

პაპარაცებმა ცნობილი მოდელი ნიუ-იორკის ქუჩებში თავის უმცროს ძმა ანვართან ერთად შენიშნეს. ჰადიდი თეთრი ფერის სამოსში იყო გამოწყობილი, რომელიც დამოკლებული შარვლის, მაისურისა და ზოლებიანი ბლეიზერისგან შედგებოდა. ფეხზე ბალეტკები ეცვა, ხელში კი კათხა ეჭირა. მას ყურებს უმშვენებდა საყურე-ბეჭდები, თავზე კი თმის სამაგრი ეკეთა, რათა თმები სახეზე არ ჩამოშლოდა. უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბელა ჰადიდი სამუშაოს დაუბრუნდა, მას შემდეგ, რაც ლაიმას მძიმე დაავადებისგან განიკურნა. აღსანიშნავია, რომ მისი თაყვანისმცემლები ბელას გარეგნობამ შეაშფოთა. ის მეტისმეტად გამხდარი ჩანდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აშშ ჩრდილოეთ კორეაში თავისუფლების კვირეულს აღნიშნავს

აშშ ჩრდილოეთ კორეაში თავისუფლების კვირეულს აღნიშნავს. ეს თარიღი უკვე მე-20-ჯერ აღინიშნება. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა ამ დღესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა:

– უნდა პასუხი ვაგებინოთ მათ, ვინც ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის უფლებებს არღვევს, – თქვა ბლინკენმა.

აშშ-ის სახელმწფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ჩრდილოეთ კორეაში საშინელი სიღატაკეა. მოსახლეობას ხორცი ენატრება. მიუხედავად ამისა, მთავრობა მთელ ფულს მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებაზე ხარჯავს.

ჯეიკ სალივანი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯეიკ სალივანი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვან ი-ს შეხვდა. მიზანი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებაა.

თავის მხრივ ვან ი-მ აღნიშნა, რომ ჩინეთი დაინტერესებულია აშშ-სთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობით.

ბორელი გაეროს გენერალურ მდივანს შეხვდება

ევროკომისარი ბორელი გაეროს გენერალურ მდივანს გუტერეშს შეხვდება. მიზანი მარცვლეულის შეთანხმების განახლებაა.

როგორც ცნობილია, რუსეთმა ხსენებული შეთანხმება ჩაშალა. ბორელს იმედი აქვს, რომ შეთანხმება კვლავ დაიდება, მაგრამ უკვე რუსეთის გარეშე.

უკრაინული არმია ტოკმაკს უახლოვდება

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. კუპიანსკთან შეინიშნება ერთგვარი მიჩუმათება. წარუმატებლობის შემდეგ რუსი ოკუპანტები ერთგვარ გადაჯგუფებას ახდენენ. როგორც უკრაინის სამხედრო დაზვერვის შეფი გენერალი ბუდანოვი ვარაუდობს, უახლოეს დღეებში რუსები ახალ შეტევაზე გადავლენ. მსგავსი ვითარებაა სვატოვო-კრემენოეს მიდამოებშიც.

რაც შეეხება დონბასის ფრონტს, აქ უკრაინელები წინსვლას განაგრძობენ. ოკუპანტებისაგან გათავისფლებულია დასახლებული პუნქტები: კლეშჩივკა, ანდრიევკა (ბახმუტის მახობლად). უკრაინელთა წინსვლა დაფიქსირდა კრასნოგოროვკის მიმართულებითაც. უკრაინელთა მიერ ჩატარებულ იქნა წარმატებული ოპერაციები ავდეევკასთან. რაც შეეხება მარინკას, იქ ვითარება უცვლელია. რუსების გააფთრებული შეტევების მიუხედავად, უკრაინელები პოზიციებს ინარჩუნებენ.

ზაპოროჟიეს ფრონტზე ბრძოლები უკვე რობოტინოს გასცდა და ახლა პროკოპიევკის გარეუბნებში მიმდინარეობს. უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება. უკრაინის გენშტაბის ცნობით, სიტუაცია ფრონტზე მთლიანად დამაკმაყოფილებელია. რუსები უტევენ კუპიანსკისა და სვატოვო-კრემენოეს მიმართულებით, მაგრამ წინსვლა არა აქვთ. სამაგიეროდ, უკრაინული არმია შეტევებს განაგრძობს როგორც დონეცკის, ასევე ზაპოროჟიეს ოლქებში. დონეცკის ოლქში უკრაინელებმა დაიკავეს კლესჩივკა და ანდრეევკა, აქვთ წინსვლა ავდეევკის მიმართულებით. რაც შეეხება მარინკას, აქ რუსების მცდელობა, აეღოთ ხსენებული დასახლებული პუნქტი, ამაოა. ზაპოროჟიეს ოლქში უკრაინული არმია გასცდა რობოტინოს. ახლა ბრძოლები პროკოპიევსკის გარეუბნებშია. უკრაინული არმია ტოკმაკს უახლოვდება.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 4.623; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 8.834; არტილერია – 6.027;

განადგურებულია 280.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლის უყურადღებობამ მამაკაცი გაამდიდრა



ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ აპერ-მალბოროს მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი გამყიდველის უყურადღებობის წყალობით მოხსნა.

მამაკაცის თქმით, ის რეგულარულად თამაშობდა ლატარიას. ერთხელაც მან ავტოგასამართი სადგურის მაღაზიაში შეიარა ქეშ-ლაიფის ბილეთების შესაძენად, მაგრამ გამყიდველმა შეცდომით სხვა ლატარიის ბილეთები მისცა. მას არ შეეძლო ბილეთების შეცვლა და მამაკაცი სახლში მულტი-მატჩის ლატარიის ბილეთებით დაბრუნდა.

ამერიკელმა ბილეთების შემოწმება რამდენიმე დღის შემდეგ მობილური ტელეფონის დანართით გადაწყვიტა და ნახა, რომ მოსული იყო შეტყობინება, რომლითაც მას ლატარიის ოფისში მისვლას ურჩევდნენ, ფულადი მოგების მისაღებად. მამაკაცმა ვერ დაიჯერა, რომ გათამაშების გამარჯვებული გახდა და იმავე საღამოს შეიარა მაღაზიაში, რათა იქ შეემოწმებინა ყველაფერი. იქ მან ბილეთი შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ მისმა მოგებამ 580 ათასი დოლარი შეადგინა.

მამაკაცმა ეს ახალი სასიხარულო ამბავი მაშინვე მეუღლეს აცნობა. ქალმა თავიდან ვერ დაიჯერა, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ მისი მეუღლე მართლაც სოლიდური მოგების მფლობელი გახდა, მღელვარებისგან და იმაზე ფიქრისგან, თუ რაში დახარჯავდა მოგებულ თანხას, მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა.

საბოლოოდ ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, რომ მოგებული თანხით სახლის კრედიტს დაფარავენ, ასევე დააფინანსებენ შვილის სწავლას და ოჯახურ ბიზნესს დაიწყებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა მეგობარი შხამიანი გველისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ავსტრალიაში 69 წლის მამაკაცმა მეგობარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საშიში შხამიანი გველისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა.

კუინზლენდის შტატის ქალაქ კუმალაში სკოლის გახსნის 100 წლისთავს აღნიშნავდნენ, როდესაც მოულოდნელად იქ გველი გამოჩნდა და მამაკაცს ფეხზე შემოეხვია. ეს მისმა მეგობარმა შენიშნა და დასახმარებლად მიეჭრა. მან ქვეწარმავალი მეგობარს მოაშორა, მაგრამ მან რამდენჯერმე მოასწრო მამაკაცისთვის კბენა.

ავსტრალიელმა გონება დაკარგა. თვითმხილველებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, თავად კი მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენას ცდილობდნენ. მიუხედავად ზეიმის მონაწილეებისა და ექიმების მცდელობისა, მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა, ხოლო მისი მეგობარი, რომლისთვისაც გველმა ასევე მოასწრო კბენა, საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მისი მდგომარეობა სტაბილურია და მკურნალობის კურსი უტარდება.

ქალმა წონაში ჩვეულებრივი ჩვევის წყალობით დაიკლო

ქალმა, რომელმაც წონაში დაიკლო და ცხოვრება შეცვალა უბრალო ჩვევის წყალობით, გახდომის საიდუმლო გაამხილა.

არიელ ჯეიდმა გახდომაზე ზრუნვა 2021 წლის ივნისიდან დაიწყო. ქალმა წონაში მომატება ბავშვის გაჩენის შემდეგ დაიწყო და მუდმივად დაღლილობას გრძნობდა.



– ყოველ ჯერზე, როდესაც კიბეზე ავდიოდი, სული მეხუთებოდა. იმხელა მუცელი მქონდა, რომ ოთხი თვის ფეხმძიმე გეგონებოდით და მივხვდი, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც უნდა შემეცვალა, – იხსენებს ქალი.

მისი თქმით, გადაწყვიტა დედისთვის მიებაძა, რომელმაც ზედმეტი წონა ფეხით სიარულის წყალობით მოიშორა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ძველი ფიგურის დასაბრუნებლად, ჯეიდმა გადაწყვიტა ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე ათი ათასი ნაბიჯი გაევლო. ქალის აღიარებით, პირველ კვირას ის ძალიან იღლებოდა, იმდენადაც კი, რომ სახლში მისულს სადილის გაკეთების თავიც კი აღარ ჰქონდა. თუმცა, მალევე ენერგიის მოზღვავება იგრძნო და ახლა უკვე სიამოვნებით გადიოდა ქუჩაში.

ერთ თვეში ქალმა წონაში კილონახევარი დაიკლო, მუცელი კი შესამჩნევად დაუპატარავდა. გარდა ამისა, ღამე უფრო მშვიდად ეძინა, უფრო აქტიური გახდა, ასევე მაღალკალორიულ საკვებს აღარ ეკარებოდა.

– გაოცებული ვიყავი იმით, თუ როგორ ახშობდა ჩემში სიარული იმ საკვების მიღების სურვილს, რომლებითაც ადრე ვიკვებებოდი. აღმოვაჩინე, რომ სადილის შემდეგ შოკოლადის ჭამის სურვილი აღარ მქონდა და ეს ჩემთვის მეტად უცნაური იყო, – ამბობს ჯეიდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გენო პეტრიაშვილის ვერცხლი, ფარტენაძის ბრინჯაო

ბელგრადში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ორი მედალი აქვს – მძიმე წონაში გენო პეტრიაშვილს ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო შოთა ფარტენაძეს (61) წილად ბრინჯაო ხვდა.

პეტრიაშვილმა ფინალამდე 4 ბრძოლა მოიგო: კვალიფიკაციაში ბალი სოუ 9:3 დაამარცხა; მერე აბდულა კურბანოვს 6:5 მოუგო; მეოთხედფინალში პოლონელ რობერტ ბარანს 3:1 აჯობა; ნახევარფინალში ამერიკელ მეისონ მარკ პერისს დაძაბულ ბრძოლაში 8:6 სძლია. ფინალში ჩვენებური ირანელ ამირ ზარეს დაუპირისპირდა და უშანსოდ, 0:11 დამარცხა. ის კი არა, გაბრაზებულმა მეტოქეს ალიყურიც კი უთავაზა, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო. ფინალში მარცხის მიუხედავად გენო პეტრიაშვილმა პარიზის 2024 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მიიღო.

პეტრიაშვილმა ქართული ოლიმპიური სპორტის ერთი რეკორდი მაინც დაამყარა – მსოფლიო ჩემპიონატებზე მე-8 მედალი მოიგო. პირად პირველობაში ამდენი ჯილდო კი, ამ რანგის შეჯიბრებებში არავის აქვს.

რაც შეეხება ფარტენაძეს: ჩვენებურმა მედლისთვის ბრძოლაში უკრაინელ ვალენტინ ბლიასეცკის აჯობა. მოჭიდავეებმა 5-5 ქულა აიღეს, მაგრამ ქართველს უფრო ხარისხიანი შეფასების ქულა აღმოაჩნდა და ბრინჯაო ერგო.

მანამდე ფარტენაძემ ანდრე ბეკრენუ (5:0) და ჯაჰონგირმირზა ტურუბოვი (5:3) დაამარცხა, ნახევარფინალში კი, აბასგაჯი მაგომედოვთან (0:10) შანსი არ ჰქონია.

ბრინჯაოს მოპოვებიდან ორიოდ წუთში ფარტენაძემ მუცლის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო და დარბაზიდან გასვლა ვეღარ მოახერხა. საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დახმარებისთვის ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს მიმართა და მათაც, პირველადი ზომები მიიღეს, შემდეგ კი, მოჭიდავე კლინიკაში გადაიყვანეს.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფარტენაძეს ნაწლავი ჰქონდა გამსკდარი და გადაუდებელი ქირურგიული ჩარევაც დასჭირდა. ექიმების განცხადებით, კლინიკაში დარჩენა მინიმუმ ერთი კვირის განმავლობაში მოუწევს.

ირის ანტმანი კლუბების მწვრთნელებს შეხვდა

საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ჩვენი ქვეყნის ქალთა უმაღლესი ლიგისა და ლიგა 2-ის მწვრთნელებს შეხვდა.

მთავარი მიზანი, მწვრთნელებს შორის გამოცდილების გაზიარება და საერთო ხედვის ჩამოყალიბება იყო. შეხვედრის მიმდინარეობისას ირის ანტმანმა კლუბების მწვრთნელებს საქართველოში ქალთა ფეხბურთის განვითარების საკუთარი ხედვა გაუზიარა და აღნიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ცოდნა ამ მიმართულების განვითარებისთვის, როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალშიც იგეგმება და რეგულარულ სახეს მიიღებს.

შეხვედრასთან დაკავშირებით, საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ირის ანტმანმა ისაუბრა:

– ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნული ნაკრების, არამედ მთლიანად ქალთა ფეხბურთის განვითარება საქართველოში. ამისთვის აუცილებელია ცოდნის გაზიარება. მნიშვნელოვანია შეხვედრების მოწყობა და ერთმანეთთან ურთიერთობა. აქამდე მსგავსი შეხვედრები მხოლოდ მოედანზე ხდებოდა. გუნდებს მსგავსი პრობლემები გააჩნიათ და ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ მათი მოგვარება.

ეროვნული გუნდები და ეროვნული ჩემპიონატი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. აქ მნიშვნელოვანია შემდეგი მიმართულებების განვითარება: ფიზიკური მომზადება, მენტალიტეტი, მიდგომა და მედიცინა, ისევე, როგორც ტექნიკური ასპექტი. თუკი ყველა გუნდი ერთად იმოქმედებს, მოთამაშეები ნაკრებს უკეთეს ფორმაში შეუერთდებიან და უკეთესი ფეხბურთელებიც გახდებიან, ჩემპიონატის დონე კი ამაღლდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ლაშა ტალახაძემ მსოფლიო მეშვიდედ დაიპყრო

ლაშა ტალახაძე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია. საჩხერელმა ძალოსანმა საუდის არაბეთში მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დახურა.

ტალახაძემ ორჭიდის ჯამს, ხელთ მცირე ოქროები აკვრასა და ატაცშის გამოაყოლა. ატაცში ლაშამ სამივე ცდა გამოიყენა: 208; 215 და 220 კგ და უშუალო კონკურენტ ყატარის წარმომადგენელ გორ მინასიანს საგრძნობლად აჯობა – 213. მესამე სომეხი ვარაზდათ ლალაიანი იყო – 212.

აკვრაში ტალახაძემ ორი ცდა გამოიყენა: ჯერ 245 კგ-იანი შტანგა ასწია, შემდეგ – 253. მესამე ცდაზე ლაშამ 260 კგ ვერ დააფიქსირა, მაგრამ ოქროს მედალი უკვე განაღდებული ჰქონდა.

ორჭიდში ტალახაძემ 473 კგ-ით მოახერხა პირველობა. ვერცხლი ერგო ვარაზდათ ლალაიანს, რომელმაც ჯამში 460 კგ დააფიქსირა, ხოლო ბრინჯაო გორ მინასიანს (459).



ლაშა ტალახაძე:

– ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს გულშემატკივარს, გვერდით დგომისთვის და გამხნევებისთვის. მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი შედეგი დავაფიქსირე, მეშვიდედ გავხდი ჩემპიონი, თუმცა, წინ მორიგი შეჯიბრებები გველოდება.

ჩემთვის მთავარი გამოწვევა არის პარიზის ოლიმპიური თამაშები, შევეცდები მეტი გავაკეთო და თითოეული თქვენგანი გავახარო.

ტალახაძე ქართული სპორტის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატების ერთადერთი შვიდგზის გამარჯვებულია;

ტალახაძე მსოფლიო ძალოსნობის ისტორიაში პირველია, რომელმაც ზედიზედ ცხრა წლის მანძილზე მთავარი შეჯიბრება მოიგო – 7 მსოფლიო პირველობა და 2 ოლიმპიადა;

ზედიზედ 7 მსოფლიო ასევე მოგებული აქვს საბჭოთა ძალოსან ვასილი ალექსეევს. თუმცა, 1964-84 წლების ოლიმპიური თამაშები ძალოსანთა შორის მსოფლიო ჩემპიონატადაც განიხილებოდა. ამიტომ, ალექსეევს მსოფლიო ტიტულად, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადებზე მოგებული ოქროებიც ეთვლება.

ტალახაძისა და ალექსეევის გარდა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონები კიდევ ორია: ნაიმ სულეიმანოვი/სულეიმანოღლუ, რომელმაც ორჯერ ბულგარეთის სახელით მოიგო, ხოლო ხუთჯერ – თურქეთის; და საბჭოთა/სომეხი იურიკ ვარდანიანი.

გეტყვით, რომ საქართველოს დელეგაციამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორჭიდის ჯამში მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვა (ოქრო), ასევე ორი მცირე ოქრო (ორივე ტალახაძე) და ერთი მცირე ბრინჯაო (შოთა მიშველიძე).

იმერელთა დღე

ეროვნული ლიგის 25-ე ტურის დარჩენილი ორი მატჩიც დასრულდა. ორივეში მასპინძლებმა მოიგეს და ორივე იმერლებმა.

სამტრედია-შუქურა 4:2

სამტრედია. ეროსი მანჯგაღაძე

1:0 უბილავა (4), 1:1 მუჯირი (6), 2:1 მიშოვი (47), 2:2 გოგოლაშვილი (64), 3:2 ნაჭყებია (80), 4:2 ინჯგია (90)

სამტრედია: ხარატიშვილი, ი.ახვლედიანი, აბულაძე, ბოჭორიშვილი, უბილავა, პავიშიჩი (ფირანაშვილი 65), ხმალაძე, თ.ახვლედიანი (ნაჭყებია 65), ხაიბულაევი (ოლატუნჯი 89), დ.კირკიტაძე (ინჯგია 75), მიშოვი (ჩარგეიშვილი 75)

შუქურა: აბრამიშვილი, კამლაძე, ასათიანი, ჩაკვეტაძე, გ.ქავთარაძე (ანანიძე 90), გაზდელიანი (კუმბა 90), ჩანქსელიანი (ნადირაძე 46), გოგოლაშვილი, ჯანელიძე, კვარაცხელია (რობაქიძე 46, ლორთქიფანიძე 90), მუჯირი

დავიწყოთ აუტსაიდერებით: სამტრედია ორჯერ იგებდა და აუტსაიდერმა შუქურამ ორჯერ გაათანაბრა, მაგრამ შემდეგ იმერულმა გუნდმა მაინც მოახერხა გამარჯვება – 4:2.

საწყის ექვს წუთში ორი გოლი გავიდა. ჯერ დავით უბილავამ გადმოგდებულ ბურთს ერთი შეხებით დარტყმა მიაყოლა და ანგარიში გახსნა; მალევე შუქურას ფორვარდმა დავით მუჯირმა ეფექტური თავურით გაიტანა.

მეორე ნახევრის დასაწყისში სამტრედია ალექსანდარ მიშოვის ცაციით გატანილით გავიდა წინ. 64-ე წუთზე კი, მუჯირის პასს მოჰყვა გიორგი გოგოლაშვილის ზუსტი დარტყმა და 2:2.

გადამწყვეტი გამოდგა მე-80 წუთი და ზვიად ნაჭყებიას გოლი. სამტრედიელთა გარემარბმა საჯარიმო კარგად შეასრულა და სამტრედია მესამედ გავიდა წინ... მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში კი, იმერული გუნდის ფორვარდმა რევაზ ინჯგიამ კონტრშეტევაზე დაიჭირა მეტოქე და 4:2 გახადა ანგარიში.

ერთი საინტერესოც: უბილავამ, მიშოვმა და ინჯგიამ მიმდინარე ეროვნულ ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანეს.

ეს სამტრედიელთა პირველი საშინაო გამარჯვებაა პირველი ტურის მერე. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზღვისპირელებმა ამ მარცხით სანგრძნობლად გაიუარესეს ეროვნულ ლიგაში დაღჩენის შანსი, სამტრედიელებმა კი, პირიქით. ერთია, იმერული კლუბი ახლა ფლეი აუტის თავიდან აცილებას ეცდება.

სამგურალი-საბურთალო 1:0

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 გომესი (36)

სამგურალი: შოვნაძე, კიკაბიძე, პატარკაციშვილი, მარკოვინა, ბული, ლომინაძე (სულაქველიძე 64), არტური, ლიმა (ნ.ხორხელი 46), კაგაიამა, გომესი (მაისაშვილი 70), იკპე (ჩიხრაძე 90)

საბურთალო: კუპატაძე, კომახიძე (ც.კაპანაძე 67), ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ო.მამაგეიშვილი, ქარდავა, ლ.ნონიკაშვილი (სიხარულიძე 80), გ.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 57), სილაგაძე (გ.კოხრეიძე 67), ჩამბა (სილა 57)

წყალტუბოს სამგურალმა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. ბენინელმა შარბელ გომეზმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაბალი დარტყმით გაიტანა. ეს 36-ე წუთზე მოხდა.

საბურთალო მესამე ადგილზეა, ხოლო წყალტუბოელები მეოთხეზე არიან. მათ შორის სხვაობა სამი ქულაა და ევროსაგზურისთვის იბრძვიან.

სატურნირო ცხრილი:

1. დინამო (ბთ)	24	15	7	2	53-25	52
2. დინამო (თბ)	25	14	6	5	64-36	48
3.საბურთალო	25	13	6	6	53-28	45
4.სამგურალი	25	12	6	7	36-34	42
5.დილა	24	11	8	5	39-25	41
6.ტორპედო	25	10	8	7	30-28	38
7.თელავი	25	6	6	13	22-42	24
8.სამტრედია	25	5	4	16	24-44	19
9.გაგრა	25	4	7	14	22-49	19
10.შუქურა	25	3	4	18	33-65	7

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲙᲐᲚᲗᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პᲘ

2023 წელს საფეხბურთო სტილი მოდური გახდა

ამერიკული გამოცემა ნიუ-იორკ პოსტის ჟურნალისტებმა დაასახელეს ჩაცმის სტილი, რომელიც მოდური გახდა მიმდინარე წელს. აღნიშნულ ინფორმაციას გამოცემა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

საუბარია ე.წ. საფეხბურთო სტილზე, რომელიც გულისხმობს სპორტული სამოსის შეხამებას ქალებისთვის განკუთვნილი ნივთებისა და აქსესუარებისთვის. აღსანიშნავია, რომ ცნობილი ბრენდების კოლექციებში გამოჩნდა ზემოთ ხსენებული სტილის სამოსი და აქსესუარები, მათ შორის ბურთის ფორმის ხელჩანთები.

ასევე აღსანიშნავია, რომ აქტუალური მიმდინარეობის შესაბამის აქსესუარებს შორის გამოჩნდა საიუველირო სახლის Tiffany&Co-ის პროდუქციაც, რომელმაც ბრენდ ნაიკთან ერთად შექმნა სასტვენის ფორმის გულსაკიდი. მოდის ექსპერტები მოდის მიმდევრებს ასევე ურჩევენ, საფეხბურთო მაისურებისა და ქუდების შეძენას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

17 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიმიერლიგა

ბორნმუთი-ჩელსი 0:0
ევერტონი-არსენალი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	5	5	0	0	14-3	15
2.ტოტენჰემი	5	4	1	0	13-5	13
3.ლივერპული	5	4	1	0	12-4	13
4.არსენალი	5	4	1	0	9-4	13
5.ბრაიტონი	5	4	0	1	15-7	12
6.ვესტ ჰემი	5	3	1	1	10-7	10
7.ასტონ ვილა	5	3	0	2	11-10	9
8.კრ.პალასი	5	2	1	2	6-7	7
9.ფულემი	5	2	1	2	5-10	7
10.ბრენტფორდი	5	1	3	1	8-6	6
11.ნიუკასლი	5	2	0	3	8-7	6
12.ნოტინგემი	4	2	0	2	6-6	6
13.მანჩესტერი	5	2	0	3	6-10	6
14.ჩელსი	5	1	2	2	5-5	5
15.ბორნმუთი	5	0	3	2	4-8	3
16.ვულვზი	5	1	0	4	5-11	3
17.შეფილდი	5	0	1	4	5-9	1
18.ევერტონი	5	0	1	4	2-9	1
19.ბარნლი	3	0	0	3	3-11	0
20.ლუთონი	4	0	0	4	2-10	0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

მილუოლი-ლიდსი 0:3

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-ვერდერი 4:2
დარმშტადი-გლადბახი 3:3

სატურნირო ცხრილი:

1.ლევერკუზენი	4	3	1	0	13-5	10
2.ბაიერნი	4	3	1	0	11-4	10
3.ლაიფციგი	4	3	0	1	13-4	9
4.შტუტგარტი	4	3	0	1	14-6	9
5.ჰოფენჰაიმი	4	3	0	1	10-6	9
6.ვოლფსბურგი	4	3	0	1	7-5	9
7.დორტმუნდი	4	2	2	0	8-5	8
8.უნიონი	4	2	0	2	9-7	6
9.აინტრახტი	4	1	3	0	4-3	6
10.ფრაიბურგი	4	2	0	2	5-10	6
11.ჰაიდენჰაიმი	4	1	1	2	8-9	4
12.ვერდერი	4	1	0	3	6-9	3
13.ბოხუმი	4	0	3	1	4-9	3
14.გლადბახი	4	0	2	2	8-12	2
15.აუგსბურგი	4	0	2	2	7-12	2
16.კიოლნი	4	0	1	3	3-7	1
17.დარმშტადი	4	0	1	3	5-13	1
18.მაინცი	4	0	1	3	3-12	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ოსნაბრიუკი 7:0
ჰერტა-ბრაუნშვაიგი 3:0
ზ.პაული-კილი 5:1

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

ხეტაფე-ოსასუნა 3:2
ვილიარეალი-ალმერია 2:1
სევილია-ლას პალმასი 1:0
რეალი-სოსიედადი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	5	5	0	0	10-3	15
2.ბარსელონა	5	4	1	0	13-4	13
3.ბილბაო	5	3	1	1	9-4	10
4.ხირონა	4	3	1	0	7-2	10
5.ვალენსია	5	3	0	2	7-4	9
6.რაიო	5	3	0	2	6-8	9
7.ატლეტიკო	4	2	1	1	10-4	7
8.ბეტისი	5	2	1	2	5-10	7
9.ხეტაფე	5	2	1	2	5-7	7
10.კადისი	5	2	1	2	5-7	7
11.სოსიედადი	5	1	3	1	8-7	6
12.ოსასუნა	5	2	0	3	7-8	6
13.ვილიარეალი	5	2	0	3	8-10	6
14.ალავესი	5	2	0	3	5-7	6
15.მალიორკა	5	1	2	2	4-5	5
16.სელტა	5	1	1	3	4-7	4
17.სევილია	4	1	0	3	6-8	3
18.გრანადა	4	1	0	3	7-12	3
19.ლას პალმასი	5	0	2	3	1-4	2
20.ალმერია	5	0	1	4	5-11	1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ამორებიეტა-მირანდესი 2:0
ეიბარი-ფეროლი 2:0
ელჩე-ლეგანესი 1:0
ესპანიოლი-ელდენსე 3:3
ხიხონი-ტენერიფე 2:1

იტალია. სერია ა

კალიარი-უდინეზე 0:0
მონცა-ლეჩე 1:1
ფროზინონე-სასუოლო 4:2
ფიორენტინა-ატალანტა 3:2
რომა-ემპოლი 7:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	4	4	0	0	13-1	12
2.იუვენტუსი	4	3	1	0	9-2	10
3.მილანი	4	3	0	1	9-7	9
4.ლეჩე	4	2	2	0	7-4	8
5.ნაპოლი	4	2	1	1	8-5	7
6.ფიორენტინა	4	2	1	1	9-9	7
7.ფროზინონე	4	2	1	1	7-6	7
8.ატალანტა	4	2	0	2	8-5	6
9.ვერონა	3	2	0	1	4-4	6
10.ტორინო	3	1	1	1	2-4	4
11.რომა	4	1	1	2	11-6	4
12.ბოლონია	3	1	1	1	3-4	4
13.მონცა	4	1	1	2	3-6	4
14.ჯენოა	4	1	1	2	4-7	4
15.ლაციო	4	1	0	3	4-7	3
16.უდინეზე	4	0	3	1	1-4	3
17.სასუოლო	4	1	0	3	5-9	3
18.სალერნიტანა	3	0	2	1	3-5	2
19.კალიარი	4	0	2	2	1-4	2
20.ემპოლი	4	0	0	4	0-12	0

იტალია. სერია ბ

კატანძარო-პარმა 0:5
კომო-ტერნანა 2:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ლორიანი-მონაკო 2:2
კლერმონი-ნანტი 0:1
რეიმსი-ბრესტი 1:2
სტრასბური-მონპელიე 2:2
მარსელი-ტულუზა 0:0
ლიონი-ლე ავრი 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	5	3	2	0	15-7	11
2.ბრესტი	5	3	1	1	7-6	10
3.ნიცა	5	2	3	0	7-4	9
4.მარსელი	5	2	3	0	7-4	9
5.პსჟ	5	2	2	1	10-6	8
6.ლილი	5	2	2	1	7-7	8
7.მეცი	5	2	2	1	7-9	8
8.რენი	5	1	4	0	10-6	7
9.რეიმსი	5	2	1	2	9-7	7
10.სტრასბური	5	2	1	2	6-8	7
11.ლე ავრი	5	1	3	1	8-6	6
12.ლორიანი	5	1	3	1	7-7	6
13.ტულუზა	5	1	3	1	5-6	6
14.მონპელიე	5	1	2	2	9-9	5
15.ნანტი	5	1	2	2	6-8	5
16.ლიონი	5	0	2	3	3-10	2
17.კლერმონი	5	0	1	4	4-10	1
18.ლანსი	5	0	1	4	4-11	1

ჰოლანდია. პირველი ლიგა

აროუკა-კასა პია 0:1
ჟილ ვისენტე-ეშტორილი 5:3
გიმარაეში-პორტიმონენშე 1:2
სპორტინგი-მორეირენშე 3:0

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ზვოლე-იგლზი 1:1
ტვენტე-აიაქსი 3:1
ექსელსიორი-ალმერე 0:0
ალკმაარი-სპარტა 2:0

ბელგია. ა დივიზიონი

ეუპენი-სტანდარდი 1:3
კორტრაიკი-ანდერლეხტი 2:2
ლეუვენი-გენტი 1:1
სტ.ტრუიდენი-მეხელენი 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ისთამბული-ბაშაქშეჰირი 0:2
ფენერბახჩე-ანთალია 3:2
ალანია-ქაშიმფაშა 3:3
ტრაბზონი-ბეშიქთაში 3:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლუშტენაუ-ტიროლი 2:3
ჰარტბერგი-აუსტრია 2:1
რაპიდი-ვოლფსბერგერი 3:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-იანინა 2:2
კიფისია-პანსერაიკოსი 4:4
პაოკი-არისი 0:0
აეკი-ოლიმპიაკოსი 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-პლზენი 1:7
იაბლონეცი-ლიბერეცი 1:1
სპარტა-სლოვაცკო 5:0

პოლონეთი. ეკსტრაკლასა

იაგელონია-რადომიაკი 3:2
ვიძევი-კრაკოვია 2:0
ვარტა-ლეხი 0:2

უკრაინა. პრემიერლიგა

ჩერკასი-რუხი 2:1
დნიპრო-კოლოსი 1:1
კრივბასი-ვერესი 2:1

დანია. სუპერლიგა

ვეილე-რანდერსი 1:2
ვიდორვე-ლუნგბიუ 0:1
ორხუსი-ბრონდბიუ 0:3

შვედეთი. ალსვენსკა

ჰამარბი-მალმიო 1:3
ჰაკენი-ჰალმშტადი 3:2
ელფსბორგი-კალმარი 0:3

ნორვეგია. ელიტსერია

რუსენბორგი-ბოდო 1:1
სარპსბორგი-ლილესტრიომი 3:1
სტაბეკი-ბრანი 0:1
ტრომსო-ჰამ კამი 2:1
ვალერენგა-ალესუნდი 3:1

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ᲯᲭᲝᲡᲜᲝᲮᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად: 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. ბრიტანული ტაქსი; 16. ფოტოგრაფის სახელოსნო; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

თარაზულად: 1. ბეთჰოვენის ოპერა; 3. შამფურზე შემწვარი ხახვითა და სუნელებით შეზავებული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. მესხების, გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 9. ბალკანეთის სლავების საფერხულო ცეკვა; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. ნავსადგური უკრაინაში; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 26. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე ისტორიული მონათმფლობელური სახელმწიფო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ექსტაზი; 2. ძელქვა; 3. კომპლექსი; 4. მარუხი; 5. ჰელვეცია; 7. აუდი; 11. ლინდერი; 13. ღვარძლი; 15. გრევი; 16. ვენტა; 18. ნამჯა; 19. იუნგა.

თარაზულად: 6. ქრთამი; 8. ნეილონი; 9. ბორჩალო; 10. არქიელი; 12. დანტე; 14. კიბუცი; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. ივრითი; 22. ჯუნგლი; 23. ფაგოციტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯეკი; 2. ირი; 3. რაფინადი; 4. პო; 5. კანონადა; 6. ჯარა; 7. ქაშვეთი; 10. ტროა; 11. სიურპრიზი; 12. ვალმარტი; 13. მესა; 16. ტროფეი; 18. სალიამი; 19. აპოხტი; 21. შტილი; 24. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. ჯაფარა; 9. კიტო; 14. შოლცი; 15. კესონი; 17. ლუზა; 20. დეპეშა; 22. დრაგი; 23. პრაიდი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ჩილე; 28. ზანზალაკი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

19 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6360

ევრო — 2.8131

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2707

100 რუსული რუბლი — 2.7320

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიდენ სანჩო შესაძლოა, ბარსელონაში გადავიდეს

ბარსელონამ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედის ვინგერი ჯეიდენ სანჩო დაიმატოს, რომელიც ზამთარში მანჩესტერს აუცილებლად დატოვებს, რადგან მას ერიკ ტენ ჰაგთან კონფლიქტი აქვს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზამთარში ბარსელონას კიდევ ერთი შემტევის დამატება სურს და ისინი სანჩოს კანდიდატურას აქტიურად განიხილავენ. ტრანსფერი შესაძლოა იანვრის დასაწყისში შედგეს.

მატიას დე ლიხტი: „არ მესმის, ძირითად შემადგენლობაში რატომ ვერ ვხვდები“

მიუნხენის ბაიერნის ჰოლანდიელმა ფორვარდმა მატიას დე ლიხტმა განაცხადა, რომ მას არ ესმის, თუ რატომ არ თამაშობს ძირითადში, რადგან ის კარგ ფორმაშია და ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება:

– არ ვიცი, რატომ არ ვთამაშობ და ვფიქრობ, რომ ეს კითხვა მწვრთნელს უნდა დაუსვათ. მინდა, რომ ძირითადში ვიყო და ამისთვის ძალებს არ ვიშურებ. იმედი მაქვს, ჩემი შრომა დაფასდება.

იურგენ კლოპი: „ევროპის ლიგის მოგება გვსურს“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს ევროპის ლიგის მოგება სურს და მათ არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ წელს ისინი ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებენ:

– მინდა, რომ ევროპის ლიგა მოვიგოთ და ფეხბურთელებს უკვე ვუთხარი, რომ ამ ტურნირს მაქსიმალურად სერიოზულად მიუდგნენ. ჩემპიონთა ლიგაში აუცილებლად დავბრუნდებით, მაგრამ წელს სხვა მიზნები გვაქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯონ მალკოვიჩი საქართველოში აღარ ჩამოვა



ცნობილი მსახიობი ჯონ მალკოვიჩი საქართველოში აღარ ჩამოვა. ამის მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა. მსახიობმა თვალზე ურთულესი ოპერაცია გაიკეთა.

ჯონ მალკოვიჩს თბილისში 7 და 8 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლი უნდა ეთამაშა:

– ძალიან იშვიათია, როდესაც სპექტაკლი მსახიობის გამო იხსნება ან იცვლება. მსახიობი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ვერ თამაშობს სპექტაკლს. ეს ასეთი კანონია, დაუწერელი. უკიდურესი კი ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ჯანმრთელობა რადიკალურად არ გაძლევს საშუალებას, სცენაზე იდგე, იმუშაო იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ხარ პასუხისმეგებლი როლზე.

მოკლედ, სწორედ ახლა გაჩნდა ეს უკიდურესი და იშვიათი შემთხვევა – ჯონ მალკოვიჩს თვალის უმძიმესი დაავადება აღმოაჩნდა. ოპერაციები ჩაუტარდა და აღმოჩნდა, რომ ჯერჯერობით ვერ ხედავს, მხოლოდ სუსტად, სილუეტებს. მას აკრძალული აქვს ფრენა, ხანგრძლივი მგზავრობა, აკრძალული აქვს მკვეთრი მოძრაობა და მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს კონსილიუმის მერე გაირკვევა, როდის შეუძლია მგზავრობა და პროფესიაში დაბრუნება.

ჩვენი ფესტივალის „ბამბის მინდვრების სიმარტოვეში“ ვერ შედგება 7 და 8 ოქტომბერს. გთხოვთ დააბრუნოთ ბილეთები! ვინც ბილეთები ონლაინ რეჟიმში შეიძინეთ, ერთი კვირის ვადაში თანხის დაბრუნება მოხდება ავტომატურად ანგარიშზე, საიდანაც მოხდა ბილეთების შეძენა!

იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯანმრთელობა სრულად აღდგა, ახალ თარიღებზე მოლაპარაკებებს გავაგრძელებთ და დამატებით გაცნობებთ.

ცუდია, მაგრამ იმედია, მისი მხედველობა აღდგება ისე, რომ დაუბრუნდება თეატრს, კინოს და მუშაობას გააგრძელებს. ასეთ შემთხვევაში, თბილისის გასტროლი და ფესტივალი მისთვის პრიორიტეტად დარჩება.

დავით დოიაშვილი ახალ სეზონს პრემიერით გახსნის

რეჟისორი დავით დოიაშვილი ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში რიგით 98-ე სეზონს პრემიერით გახსნის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი 22 სექტემბერს მაყურებელს უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ მიხედვით დადგმულ ამავე სახელწოდების სპექტაკლს შესთავაზებს.

სპექტაკლის კომპოზიტორი ნიკოლოზ რაჭველია, სცენოგრაფი – ანა ნინუა, კოსტუმების მხატვარი – დავით გევორქოვი, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე. სპექტაკლში გამოყენებულია გიორგი ცაგარელის, ნიკაკოისა და ჯორჯიან ფილარმონიკ სტრინგის მუსიკა.

– თუ შენი სამზერი, საკუთარი გვირგვინის ჩრდილს არ სცილდება და შენი სათქმელი ირგვლივ არავის ინდობს, მაშინ მზრუნველი ტირანის ტრივიალური შაბლონით ცხოვრობ და არ ხარ წინამძღოლი.

თუ შენი ქვეყნის ბედს საკუთარი მანკიერი ოჯახის თარგზე ჭრი და მზითვად ანაწილებ, მაშინ ბურუსში ბოლომდე იკარგები, რადგან შენი მთავარი, შეთხზული როლი შენივე ცხოვრება გგონია.

თუ შენი ამპარტავნული იმედები არ მართლდება, საშინელი რისხვისგან ზეზეურად კვდები!

და ეს არის უდიდესი კურთხევა! რადგან იწყება გარდაქმნა, მეტამორფოზა, გარღვევა, ტრანსფორმაცია, დაბადება იმ ტკივილებით სავსე ბავშვისა, რომელიც თავიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ იწყებს სამყაროს აღქმასა და მოსმენას. რადგან თავად ვერასდროს ხედავდი იმ ღვთიურ სინქრონს გარე სამყაროსა და შენს შინაგან სამყაროს შორის, რომელიც ილუზიების მიღმა გვამყოფებს. არასდროს გიფიქრია, რომ გარე ქარიშხალის დროს მოგეძებნა თუნდაც ქარი შენ შიგნით. ცაში ჭექა-ქუხილისას, დაგენახა ელვა შენში და გეგრძნო როგორ **გიბუგავდა შიგნეულს**. ვერ მიხვდი, რომ, როცა გარეთ **ყველაფერი** ირევა, **მაშინ** შიგნით გაქვს საშინელი ქაოსი და **უბედურება. ირგვლივ ვერასდროს** ვერაფერს შეცვლი, ამიტომაც მოგინევს **თავად იქცე ცვლილებად**! ესაა სამყაროს კანონი, სადაც **უცვლელი და მიდმივი, მხოლოდ** და მხოლოდ ცვლილებებია, – **ასეთია სპექტაკლის სინოფსისი**, სადაც 16-წლამდე მაყურებელი არ დაიშვება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მსოფლიო ვარსკვლავებმა დემნას ექსკლუზიური მოდელებით იპოზიორეს

ქართველი დიზაინერის დემნას ექსკლუზიური მოდელები მსოფლიოს ცნობილმა ვარსკვლავებმა ნიკოლ კიდმანმა, კრისტი ტორლინგტონმა, კიმ კარდაშიანმა და იზაბელ იუპერმა მოირგეს. სამოსი მათ დემნას ბალენსიაგას კუტიურ კოლექციის ექსკლუზიური მოდელებიდან შეარჩიეს და ნიუ იორკში ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების წინაშე წარსდგნენ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ვარსკვლავები დემნას სამოსს ირგებენ. ყველა მათგანს დემნას მიერ შექმნილი სხვადასხვა წლის კოლექციებიდან ერთი კოსტიუმი მაინც აქვს.

გიორგი მასხულიას თავს დაესხნენ



დიზაინერ გიორგი მასხულიას თავს დაესხნენ. შემთხვევა „მშვიდობის ხიდთან“ მოხდა. მას გოგონებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს:

– ძალიან ცუდია, ის, რაც საქართველოში ხდება, არცერთ ქვეყანაში არ ხდება, სამწუხაროა, რომ ამაზე ვდგავართ და ვღლიცინებთ, არა, სატირლად გვაქვს საქმე, იცით, რატომ? ტაქსს რომ ელოდები და ვიღაცა, ოჯახში არაღზრდილი, 2 ძუნძგლიანი გოგო თუ რამდენიც იყვნენ, ცდილობს, თავს დაგესხას. აი, ეს სამწუხაროა, რა ევროპაზე და რა თანამედროვეობაზე გვაქვს ამბიციები, რუსეთიც კი ზედმეტია ჩვენთვის.

უბრალოდ, მრცხვენია, მე პირადად, რომ ასეთი ადამიანები თუ რა არსებებიც არიან, ამძიმებენ დედამიწას. ერთი დამანახა მათი მშობლები და როგორ ამაყობენ ასეთი შედეგებით ძალიან მაინტერესებს.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამაზე ვღლიცინებთ და გვეცინება. ეს არის ძალიან ცუდი რამ. ეს არ უნდა ხდებოდეს საქართველოში. ეს არ არის ერთი შემთხვევა, არა მარტო ჩემზე, სხვებზეც ხდება.

ვიდეოშიც ჩანს, რომ თავი დავიცავი, ცოტა მოსაბეზრებელიც არის უაზრო საქციელები ამ უაზრო ადამიანებისგან. ის ადამიანები, ვინც ცუდ რეპლიკებსა და კომენტარებს აკეთებთ, მინდა გისურვოთ, რომ ყოველღდე ასეთი ინციდენტები მომხდარიყოს თქვენ ირგვლივ და თქვენი ოჯახის წევრებიც ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

საქართველოში საშინელი სიტუაციაა, მეზიზღება აქ რომ ჩამოვდივარ, აეროპორტშივე სუნთქვა მეკვრის, რომ ასეთი გაავებული და საზიზღარი ხალხი გავხდით ქართველები, ასე წინ ვერასდროს წავალთ, არც გაგვიშვებენ და არც უნდა გვქონდეს ამბიცია. ჯერ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა. კარგი იქნება, თუ პოლიცია და საქართველოს ყველა უწყება მიიღებს ზომებს, რომ დამნაშავეები მკაცრად დაისაჯონ და სამართლებრივად აგონ პასუხი. ეს ქუჩაში არ უნდა ხდებოდეს. საშინელებაა.

მთელი ცხოვრება ომში ვარ, თავი კარგი მეომარი მგონია. რა უნდათ, ვერ ვხვდები, ასე რამ გააბოროტა „სასტავი“. ჩემთვის ვარ და ვაკეთებ ჩემს საქმეს, ნუთუ დასასრული არ აქვს ამას.

გიორგი ფოცხიშვილი საუკეთესო მოცეკვავედ დასახელდა

ქართველი ბალერონი გიორგი ფოცხიშვილი 2023 წლის სეზონის საუკეთესო ქართველ მოცეკვავედ დასახელდა.

მას ალექსანდრა რადიუსის 2023 წლის პრიზი გადაეცა. გადაწყვეტილება ჟიურიმ ერთხმად მიიღო და ქართველი მოცეკვავის უმაღლესი კლასის შესრულება საუკეთესოდ მიიჩნია:

– ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პრიზი ქართველი მოცეკვავისთვის, გიორგი ფოცხიშვილისთვის გადაგვეცა. ის ჯუნიორ კომპანის 2020 წელს შეუერთდა და 3 წლის შემდეგ უკვე ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტის სოლისტია. გასულ სეზონში გიორგიმ აჩვენა, რომ ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის მოცეკვავედ და ამის დაუნახავობა დაუშვებელია, – აცხადებენ ჟიურის წევრები.

გიორგი ფოცხიშვილი:

– უაღრესად მადლობელი ვარ ალექსანდრას და ჟიურის ამ უდადესი აღიარებისთვის. მათი რწმენა ჩემ მიმართ ნიშნავს აღიარებას ასევე მსოფლიოში! ნამდვილად დიდი პატივია, ვიყო ამ საოცარი ისტორიის ნაწილი ისეთ ნიჭიერ მოცეკვავეებთან ერთად, რომლებმაც ადრე მიიღეს ეს პრიზი. ჩემი სახელის დანახვა მათ შორის ჩემი ოცნება იყო, რომელიც ახდა!

ნანა ჯანელიძის ახალი ფილმი კინოთეატრებში გამოდის

რეჟისორ ნანა ჯანელიძის ახალი ფილმი „იარე ლიზა“ კინოთეატრებში 21 სექტემბრიდან იქნება ნაჩვენები.

ფილმში მთავარ როლებს ეკატერინე ტოგონიძე და ნინა ერაძე ასრულებენ. მისი მთავარი გმირი ლიზა, აფხაზეთის ომის რეპორტიორი იყო. ომის დასრულებიდან 25 წლის შემდეგ, მას სატელევიზიო გადაცემაში სოხუმიდან ურეკავს აფხაზი, ყოფილი მებრძოლი. აფხაზის ზარი და მისი სიტყვები ერთბაშად ააყირავებს ლიზას ცხოვრებას. იგი საჭესთან ჯდება და მთელ საქართველოს გადაკვეთს, რათა აფხაზს ენგურის ხიდზე შეხვდეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ომონიმებით გარითმული ლექსი. 3. ქვეწარმავალთა სადგომი ზოოპარკში; 4. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 5. მხარე გერმანიაში; 7. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 11. ორი ერთდროული დაცლა ორლულიანი სანადირო თოფით; 13. სატირული ხასიათის მიბაძვა; 15. ესპანური სპორტული გაზეთი; 16. ხეობა, მდინარე აფხაზეთში; 18. ბელინის ოპერა; 19. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი.

თარაზულად: 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ჩრდილოაფრიკელი არაბების სახელწოდება ევროპაში ძველად; 9. ბაზრის ძველებური სახელწოდება; 10. ცხვრის საკრეჭი მაკრატელი; 12. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. ურუგვაის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 17. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 20. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 21. პატარა იუმორისტული პიესა; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა